გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 60 თეთრი

№92 (1118) 21 - 22 სექტემბერი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

როგორ დაიცავს მომხმარებელთა ობუდსმენი ჩვენს უფლებებს

გვ. 7

ნაციონალების კრახი

ექსპერტები 2016 წელს „ვარდების რევოლუციის“ სცენარს წინასწარმეტყველებენ

გვ. 3-4-5

რა პროცესი დაიწყო გიგი უგულავას ციხიდან გამოშვებით და რა მოთხოვნის გარშემო შეიძლება გაერთიანდეს მთელი ოპოზიცია

რას დაპირდა ჯონდი ბაღათურია რუსებს ქართველი ხალხის სახელით?

„ყველამ იცის, რომ რასაც ვამბობ, სწორია, მაგრამ ხმამაღლა თქმის ეშინიათ — რუსეთს უნდა მივცეთ გარანტია, რომ...“

გვ. 6

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისგან დაზარალებული ქონების დაბრუნებას ითხოვს

არ ენდო ქალს!

გვ. 5

პატიმრის დღიური

სამოთხე დედამიწაზე

ლატვიელი მილიონერის, აივარს ბვირბულის „მზის ქალაქი“

გვ. 9

თიბისი ბანკი
TBC BANK

#წერექართულად — ქართული დამწერლობის პოპულარიზაცია ინტერნეტსივრცეში

გვ. 4

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარისგან დაზარალებული რომან ბლადაძე ბინისა და ავტოფარეხის დაბრუნებას ითხოვს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

დღეს, 21 სექტემბერს, ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძე სპეციალურ განცხადებას გაავრცელებს და საქართველოს მთავრობასა და მთავარ პროკურატურას მიმართავს, მისი საქმე ეფექტურად გამოიძიონ. „ვერსიამ“ ამ საქმეს ვრცელი ჟურნალისტური გამოძიება ჯერ კიდევ 2013 წელს მიუძღვნა, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, გიორგი პაპუაშვილი, 2007 წლიდან დღემდე აჭარაში, ,,ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ქონებაჩამორთმეული როლანდ ბლადაძის სახლში ცხოვრობს. სამართლებრივი დავა დღემდე მიმდინარეობს, საქმეს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტი სწავლობს, როლანდ ბლადაძის კუთვნილი ავტოფარეხის მისაკუთრებაზე კი აჭარის ა/რ საგამოძიებო ნაწილში, თაღლითობის მუხლით, გამოძიება მიმდინარეობს.

„ვერსია“ როლანდ ბლადაძის ადვოკატს, ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელს **არჩილ კაიკაციშვილს** დაუკავშირდა და საქმის რამდენიმე დეტალის დაზუსტება სთხოვა. როგორც ადვოკატი აცხადებს, მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო სასამართლომ გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით, გადაწყვეტილება მიიღო, საზოგადოება გიორგი პაპუაშვილის მიმართ კრიტიკულ შენიშვნებს არ ერიდება, თუმცა საზოგადოებას ისიც კარგად ახსოვს, რომ იგი ბათუმში, ქონებაჩამორთმეული პირის, როლანდ ბლადაძის კუთვნილ ბინაში ცხოვრობს:

„როლანდ ბლადაძე საქართველოს მთავარი პროკურატურისგან დღემდე უშედეგოდ ითხოვს სამართლიანობის აღდგენასა და გიორგი პაპუაშვილის მიერ აღნიშნული ქონების დათმობას. სამწუხაროდ, თვეებია, მთავარ პროკურატურაში საქმის წარმოება მიმდინარეობს, მაგრამ კონკრეტული შედეგები არ ჩანს. მრავალი მცდელობის მიუხედავად, ჩვენთვის, ადვოკატებისთვისაც უცნობია, რა სტრატეგია ან რა გონივრული ვადა არსებობს ამ საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად. 2015 წლის აგვისტოში, მთავარ პროკურატურაში წერილი გავგზავნეთ, რომელზე პასუხი სულ რამდენიმე დღის წინ მივიღეთ. პროკურორმა, რომელიც როლანდ ბლადაძის საქმეს სწავლობს, გვიპასუხა, რომ ამ ეტაპზე, საქმის განხილვა და მსჯელობა მიმდინარეობს, მაგრამ როდის დადგება კონკრეტული შედეგი, არ იცის. პროკურორ გიორგი ძნელაძეს პირადად შევახსენე, რომ კანონის წინაშე ყველა თანასწორუფლებიანია და მაღალი თანამდებობის პირი პროკურატურისთვის დამაბრკოლებელი არ უნდა გამხდარიყო. ყველა საჭირო დოკუმენტი და მტკიცებულება პროკურორს მაგიდაზე უდევს, მხოლოდ ნებაა საჭირო, რომელიც ამ საქმესთან დაკავშირებით, პოლიტიკურ და იურიდიული ნებად უნდა ჩამოყალიბდეს“.

როლანდ ბლადაძის ადვოკატებს ოთხი მნიშვნელოვანი დოკუმენტი აქვთ, რომლითაც მტკიცდება, რომ როლანდ ბლადაძის კუთვნილი ბინა ბათუმში, გიორგი პაპუაშვილმა არაკეთილსინდისიერად შეიძინა. პირველი დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, ელენე თევდორაძის, ხოლო მეორე — იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის, ლევან ბეჟაშვილის წერილებია, რომელთა საშუალებითაც, პარლამენტის ორი კომიტეტის თავმჯდომარემ, 2007 წელს, აღმასრულებელ ხელისუფლებას მიმართეს, რათა როლანდ ბლადაძის კანონიერი ინტერესები დაეცვათ. აჩიკო კაიკაციშვილის განცხადებით, ამ წერილების საფუძველზე, ელენე თევდორაძე და ლევან ბეჟაშვილი ითხოვდნენ, მთავრობას სადავო ქონების გასხვისების ფაქტი არ დაეშვა. რაც შეეხება ბლადაძის კუთვნილ ავტოფარეხს, ბინისგან განსხვავებით, იგი მიხეილ სააკაშვილს არ ჩამოურთმევია, მაგრამ არჩილ კაიკაციშვილმა „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ეს ავტოფარეხი გიორგი პაპუაშვილმა უკანონოდ მიითვისა. მას შემდეგ, რაც პაპუაშვილი ბლადაძის ბინაში საცხოვრებლად გადავიდა, საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით ნახა, რომ ბინის მფლობელის სახელზე ავტოფარეხიც იყო გაფორმებული. პაპუაშვილმა ამხანაგობის კრება მოიწვია, დოკუმენტები გააყალბა და აქტის საფუძველზე, ბლადაძეს, როგორც მესაკუთრეს, ავტოფარეხი ჩამოართვა და მიისაკუთრა. როდესაც ბათუმის მერიამ ავტოფარეხის დემონტაჟი განახორციელა, პაპუაშვილმა კომპენსაციის სახით, 3 000 ლარამდე ოდენობის თანხაც მიიღო. კაიკაციშვილის განცხადებით, აჭარის მთავარ პროკურატურაში, როლანდ ბლადაძის კუთვნილი ავტოფარეხის მითვისების ფაქტზე, საგამოძიებო მოქმედებები თაღლითობის მუხლით მიმდინარეობს.

არჩილ კაიკაციშვილის განცხადებით, როლანდ ბლადაძე ოფიციალურად ემიჯნება იმ სამოქალაქო ჯგუფებსა და დაინტერესებულ პირებს, რომლებიც გიგი უგულავას საქმესთან დაკავშირებით, ბოლო დღეებში, გიორგი პაპუაშვილის სახლთან საპროტესტო აქციებს მართავენ. როლანდ ბლადაძე პაპუაშვილის წინააღმდეგ მხოლოდ სამართლებრივი და კანონიერი გზით იბრძვის, ამგვარი საპროტესტო აქციები კი, შესაძლოა, სასამართლოზე ზეწოლის ფაქტად შეფასდეს. ესაა მიზეზი, რის გამოც ბლადაძე პროტესტის ამგვარ ფორმას არ მიმართავს.

ვერსიანიუსი

შსს-მ 25 შეკვრა ჰეროინი ამოიღო



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, ზუგდიდში მცხოვრები, 1975 წელს დაბადებული დავით თ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, სამტრედიაში დააკავეს. სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 25 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ამოიღეს. ნარკოლოგიური შემოწმებით დაკავებულს ოპიუმის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკური საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით).

დაცვის პოლიციამ „პროკრედიტ ბანკზე“ ყაჩაღობის ფაქტი აღკვეთა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული მალხაზ გ. და 1980 წელს დაბადებული ვლადიმერ ტ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. დაცვის პოლიციის პირადი დაცვის უმცროსმა ინსპექტორმა არასამუშაო დროს მეტრო ღრმაღელის მიმდებარე ტერიტორიაზე ყაჩაღობის ფაქტი შენიშნა, რა დროსაც გამოძახებულ იქნა ცენტრალური კრიმინალური პოლიცია. გამოძიებამ დაადგინა, რომ შეიარაღებული ბრალდებულები 18 სექტემბერს თბილისში, გურამიშვილის გამზირზე, „პროკრედიტ ბანკში“ შეიჭრნენ, ფული წაიღეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორივე ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე წუთში, გურამიშვილის გამზირზე, ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ ბანკიდან წაღებული ფული ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლით).

„ვერსიანიუსი“

Teliasonera „ჯეოსელის“ გაყიდვას გეგმავს

საქართველოდან გასვლის შესახებ Teliasonera დამატებით განმარტებებს „კომერსანტთან“ აკეთებს. კომპანიის წარმომადგენელი წერს, რომ კომპანიას განზრახული აქვს Geocell-ში საკუთარი წილის გაყიდვა, თუმცა ამ ეტაპზე ვერ დაასახელებენ პოტენციურ მყიდველ კომპანიებს. **„ეს პროცესი დროს მოითხოვს და არ უნდა დავაჩქაროთ მოვლენები“,** — ნათქვამია „კომერსანტისთვის“ გაგზავნილ წერილში.

მათივე განმარტებით, „ჯეოსელი“ ერთ-ერთი წამყვანი ოპერატორია საქართველოში, რომელიც ცნობილია ინოვაციური მიდგომებით. კომპანია ამაყია იმ შედეგით, რასაც „ჯეოსელმა“ დღეისთვის მიაღწია. მათივე განმარტებით, ევრაზიის ბაზრიდან გასვლის რამდენიმე მიზეზი არსებობს, მათ შორის: კომპანიამ რესურსის მობილიზება ევროპის რეგიონსა და შვედეთზე უნდა მოახდინოს იმისთვის, რომ 2018 წლისთვის ახალი თაობის სატელეკომუნიკაციო კომპანია იყოს. ევრაზიაშია ოპერირება დიდ დროს, რესურსსა და დამატებით ინვესტირებას მოითხოვს, რეგიონი შემდეგ ეტაპზე გადავიდეს ინფასტრუქტურისა და ტექნოლოგიების კუთხით. შესაბამისად, დირექტორთა საბჭოს შეხედულებით თელიასონერა არ არის ყველაზე შესაფერისი კომპანია ევრაზიაში ოპერირებისთვის, თუ გავითვალისწინებთ „თელიასონერას“ ამბიციებს და დიდ სხვაობას ევრაზიისა და „თელიასონერას“ სხვა ბაზრებს შორის.

Teliasonera-ს ბაზრიდან გასვლასთან დაკავშირებით განმარტებები „ჯეოსელშიც“ გააკეთეს, სადაც აცხადებენ, რომ **„თელიასონერამ ოფიციალურად გაასაჯაროვა განზრახვა ევრაზიის ბაზრიდან გასვლის პროცესის დაწყების შესახებ, თუმცა ამ ეტაპზე არანაირი კონკრეტული ქმედებები არ განხორციელებულა. ეს გადაწყვეტილება არ იქონიებს გავლენას/ცვლილებებს კომპანიის ოპერირებაში. ჯეოსელის საქმიანობა, ინიციატივები და პროექტები გრძელდება ჩვეულ რეჟიმში“.**

თელიასონერა „ჯეოსელის“ 100%–იანი წილის მფლობელია.

„კომერსანტი“

ერთთვიანი აქციის ფარგლებში საქართველოს პასპორტი 100-ის ნაცვლად, 70 ლარი ეღირება



იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 10-წლიანი მოქმედების ვადის მქონე ბიომეტრიული პასპორტის გაცემის საფასური აქციის პერიოდში იქნება 70 ლარი. პასპორტი გაიცემა განაცხადის მიღებიდან მეათე სამუშაო დღეს.

აქციით სარგებლობა შეუძლია 18 წელს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეს, ვისაც აქვს სურვილი, აიღოს ან შეცვალოს პასპორტი.

„აქციის პირობები არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც ბიომეტრიული პასპორტის მისაღებად სარგებლობენ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შეღავათებით (მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები — პასპორტი გაიცემა უფასოდ; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული საქართველოს მოქალაქეები-პასპორტი გაიცემა უფასოდ; ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები და იძულებით გადაადგილებული პირები — პასპორტის საფასური 50 ლარი; მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები – პასპორტის საფასური 50 ლარი; უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა, თუ მოქალაქეობის საგამონაკლისო წესით მინიჭების ინიციატორი საქართველოს პრეზიდენტია-პასპორტი გაიცემა უფასოდ; არასრულწლოვანი საქართველოს მოქალაქე – პასპორტის საფასური 50 ლარი)“, — ნათქვამია განცხადებაში.

პასპორტის მისაღებად განაცხადის ჩაბარება მოქალაქეს შეუძლია იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში, საზოგადოებრივ ცენტრში და ექსპრესს საზოგადოებრივ ცენტრში. პასპორტისათვის საჭირო ბიომეტრიული ფოტოსურათის ღირებულება შეადგენს 3 ლარს.

„ბიზნესპრესნიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ექსპერტები 2016 წელს „ვარდების რევოლუციის“ სცენარს წინასწარმეტყველებენ



რა პროცესი დაიწყო გიგი უგულავას ციხიდან გამოშვებით და რა მოთხოვნის გარშემო შეიძლება გაერთიანდეს მთელი ოპოზიცია

პოლიტიკური მოვლენები ისევ გიგი უგულავას დაჭერა-გათავისუფლების გარშემო ტრიალებს. არადა, ეს მხოლოდ იმ პროცესის დასაწყისია, რომელიც დიდი ხანია, სამართალდამცავი უწყებების კედლებს გასცდა და ნაციონალური მოძრაობის ერთწლიან გეგმად იქცა. ამ გეგმის ბოლომდე მიყვანას კი, ნებით თუ უნებურად, „ოცნებაც“ ხელს უწყობს.

რა მესიჯებს უშვებს ნაციონალური მოძრაობის ლიდერშიპი. გიგი უგულავა ჯერ კიდევ სასამართლოს კიბეზე, ქურდულად აანონსებს „აბაროტს“ და „ოცნებას“, რომელმაც მართლაც თავზე გადასახევი საარჩევნო კოდექსი სამი წელია არ შეცვალა, ამავე კოდექსით ემუქრება: **„საქართველომ ბიძინა ივანიშვილი უნდა ჩამოიშოროს. არ შეცვლით საარჩევნო სისტემას, ისევ იმ სისტემით „აბაროტს“ ავიღებთ და გავიმარჯვებთ“.**

ნაციონალურ მოძრაობაში ყველაფერი ძველებურად, „მონოლითურად“ რომ აღარაა, ჯაფარიძის ოთხეულის წასვლამაც დაადასტურა, მაგრამ რა ვუყოთ ბოკერიას ჯგუფს, რომლის ლიდერადაც გიგი უგულავა მოიაზრებოდა ანდა სააკაშვილის ძველ გვარდიას ბარამიძე-გაბაშვილი-მაჭავარიანით ცენტრში? ცალკე ფრთად შეიძლება მოვიაზროთ შედარებით ნეიტრალური ლიდერები, რომლებიც ხალხში ყოველთვის ნაკლებ აგრესიას იწვევდნენ — ბაქრაძე-ვაშაძე და მისთანანი. ახალაია-მერაბიშვილი, შესაძლოა, ციხიდან მთლად პოლიტიკურ ამინდს ვერ ქმნიან, მაგრამ უგულავას პრეცედენტიდან გამომდინარე, ახლა ყურადღების ცენტრში ყველა დანარჩენ ნაციონალზე მეტად ისინი აღმოჩნდებიან. და ბოლოს — რა როლი აქვს მიხეილ სააკაშვილს ამ მოვლენებში და რას ნიშნავს მისი ამჟამინდელი პასიურობა ქართულ პოლიტიკაში, სწორედ ის ხომ არაა ნაციონალების ერთწლიანი წინასაარჩევნო გეგმის კულმინაცია და ფინალი?! თუმცა საინტერესოა, რისი იმედი აქვთ ნაციონალებს, მოსახლეობის უმრავლესობის განწყობა ცალსახაა — უგულავას პრეცედენტი ნაციონალების გამარჯვება კი არა, „ოცნების“ არაპროფესიონალიზმისა და უნიათობის შედეგია. ასე მივედით მთავარ კითხვამდე: რა ხდება ციხიდან გიგი უგულავას გამოშვების შემდეგ, ნაციონალების პიარმანქანა უკვე დაქოქილია, როგორ აპირებს პირველ რაუნდში დამარცხებული „ოცნება“ მის გაჩერებას?

„ვერსია“ ექსპერტებსა და პოლიტოლოგებს ესაუბრა, რომელთა უმრავლესობა საინტერესო დასკვნამდე მივიდა: არჩევნებამდე ვითარებას არ დაძაბავენ, ბრძოლა ქუჩაში მხოლოდ 2016 წლის არჩევნების მერე გადავა, ხელახალი არჩევნების მოთხოვნით, დანარჩენ ოპოზიციასთან ერთად.

ლობაზე საუბარია გამართლებული, რადგან მთელ ვერტიკალზე ნაციონალებს კვლავ მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ. აქ ყველაზე მნიშვნელოვანია, რა მოხდება ერთი წლის შემდეგ და როგორ მოიქცევიან სასამართლოები ერთი წლის შემდეგ, თუნდაც 2016 წლის არჩევნების შეჯამებისას. არჩევნების შედეგების თემაზე უამრავი საჩივარი შევა და პირდაპირ ვთქვათ — მომავალი არჩევნების ბედს მარტო ამომრჩეველი კი არა, სასამართლოც გადაწყვეტს. ეს კი კონკრეტულად უგულავას გამოშვება-არგამოშვებაზე გაცილებით მნიშვნელოვანია. შესაბამისად, ოპოზიციაც გაცილებით თამამი იქნება, „ოცნებისთვის“ სერიოზულ გამოწვევად იქცევა.

არაა გამორიცხული, გარკვეული ცვლილებებით, მაგრამ მაინც ვიხილოთ 2003 წლის სცენარი. კერძოდ, ბევრ საარჩევნო ოლქში, სასამართლოებში შესული საჩივრების ფონზე, დიდი შანსია, განმეორებითი არჩევნები ჩატარდეს, რათა სააკაშვილის მეგობარმა ორგანიზაციებმა არჩევნების შედეგები ლეგიტიმურად გამოაცხადონ. საუბარი სულაც არ მაქვს ნაციონალების გამარჯვებაზე, თუმცა, შესაძლოა, საერთაშორისო ორგანიზაციები და შიდა პოლიტიკური ძალები საერთო ინტერესისთვის გაერთიანდნენ და რაც შეიძლება მეტი შედეგი დადონ არჩევნებზე პროდასავლურმა ძალებმა. ასე რომ, ამ პროცესში სასამართლოს გადამწყვეტი როლი ექნება.

მართალია, ვერ წარმომიდგენია ნაციონალური მოძრაობა სააკაშვილის გარეშე, მაგრამ, შესაძლოა, მისი უშუალო გამოჩენისა და გააქტიურების აუცილებლობა არც კი დადგეს დღის წესრიგში. გააჩნია, რამდენად სუსტი ან ძლიერი იქნება „ოცნების“ პოზიციები. დღეს ხელისუფლებას სისტემური რეფორმებისა და ცვლილებების დრო უდგას, თანაც სასწრაფოდ, მასობრივად უნდა მიიზიდონ ახალი სახეები.

დასასრული მე-4 გვერდზე

გია ხუხაშვილი: „ხელისუფლებამ, პოლიტიკურად, ეს რაუნდი წააგო. გარდა იმისა, რომ მორალურად არასწორი იყო პროკურატურის მოქმედება, რომელმაც რამდენიმე საათით გაახანგრძლივა პროცესი, მან არასწორი გადაწყვეტილებებიც მიიღო. ამას ნაციონალებიც აკეთებდნენ, ოღონდ გაცილებით დამაჯერებლად. მთელი ამ აბსურდის სათავე კი პროკურატურაშია და სწორედ ის აგებს პასუხს ამ ვითარებაზე. პირდაპირ რომ ვთქვა, პროკურატურა ვერ შედგა, როგორც ბრალდების მხარე. ნაციონალები კი მომხდარს საგარეო და საშინაო მოხმარებისთვის შესანიშნავად გამოიყენებენ მაშინ, როცა ამის გაკეთება „ოცნებასაც“ შეეძლო. უგულავას დროულად გამოშვებით, იგი ხალხის რისხვასაც შეარბილებდა და ქვეყნის გარეთაც ექნებოდა სათქმელი, რომ სასამართლო მიუკერძოებელია და ხელისუფლებას პოლიტპატიმრები არ ჰყავს. ამის მიუხედავად, გამოვრიცხავ, ნაციონალურმა მოძრაობამ 2016 წლის არჩევნებში გაიმარჯვოს, მაგრამ პოზიციები „ოცნებასაც“ შესუსტებული აქვს. თუმცა მხოლოდ იმიტომ, რომ 2012 წლის არჩევნები ჩვეულებრივი მოვლენა არ იყო, ისინი ინერციით, ალბათ, 2016 წელსაც მოიპოვებენ მცირე უპირატესობას. ალბათ, ამ სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე, „ოცნება“ არჩევნებზე ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასაც შეეცდება. ნაციონალების მიზანი კი მოგებაზე მეტად პოსტსაარჩევნო კრიზისის შექმნა იქნება: ისინი ქუჩაში გამოვლენ ხელახალი არჩევნების მოთხოვნით. საინტერესო ისაა, რომ ამ მოთხოვნას, შესაძლოა, მთელი დანარჩენი ოპოზიციური სპექტრიც შეუერთდეს, ისინიც კი, ვისაც აქამდე ამ პარტიასთან საერთო არაფერი ჰქონია. არ დაგვავიწყდეს, საჭადრაკო დაფაზე ახლაც ისევ ორი მთავარი ფიგურაა — მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი. რეალურად, მხოლოდ ისევ ამ ორ ადამიანს შეუძლია პოლიტიკური ამინდის შექმნა. ყველა დანარჩენი, გიგი იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა, უბრალოდ, გეგმის მიხედვით მოქმედებს. ფიქრობთ, სააკაშვილი ამ პოლიტიკური თამაშიდან დისტანცირებულია? არა, უბრალოდ, შესაფერის დროს ელის და ვფიქრობ, ეს დრო სწორედ პოსტსაარჩევნო პერიოდი იქნება, როცა პოლიტიკური კრიზისის შესაქმნელად ქვეყანაში ნიადაგი უკვე მომზადებული დახვდება“.

პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საკონსტიტუციო სასამართლოს ახლანდელ ქმედებას კონტექსტიდან ამოგლეჯილად არ განიხილავს და მიაჩნია, რომ 1 წლის შემდეგ, სასამართლო ხელისუფლებას, დამოუკიდებლის იმიჯით, არჩევნების ბედის გარდატეხა შეუძლია: „საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებამ გამოაჩინა, რომ ქვეყანაში ისევ ორხელისუფლებიანობაა. „ოცნება“ აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს აკონტროლებს, სასამართლო ხელისუფლებაზე კი მისი გავლენა მინიმალურია. ამავდროულად, ჯერ არც სასამართლო ხელისუფლების სრულ დამოუკიდებ-

ვერსიანიუსი

Secretary General
Le Secrétaire Général
Jens Stoltenberg

NATO OTAN

SG(2015)0264 7 September 2015

Dear Prime Minister, Dear Irakli,

I would like to thank you for our exchange of views and splendid lunch you hosted during my recent visit.

I welcome your government's steadfast commitment to Euro-Atlantic integration and to taking forward the wide-ranging reform agenda necessary to obtain this goal. I am grateful for the information provided on the reforms undertaken by the government this year, notably concerning the Ministry of Internal Affairs and the Prosecutor's Office. Allies and NATO continue to support your efforts. I am also glad that we had the opportunity to inaugurate together the Joint Training and Evaluation Centre, a key element of the Substantial NATO-Georgia Package adopted last year at the Wales Summit.

Let me once again congratulate you for all the achievements Georgia has made under your leadership and wish you further success in your endeavours.

Yours sincerely,

Jens Stoltenberg

იენს სტოლტენბერგი: „მოუთმენლად ველი ჩვენი დიალოგის გაგრძელებას!“

NATO-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილსა და საქართველოს პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს მადლობის წერილებს უგზავნის. გენერალური მდივანი მადლობას უხდის ირაკლი ღარიბაშვილს მოსაზრებების ურთიერთგაზიარებისთვის და მომავალ საქმიანობაში წარმატებას უსურვებს:

„მინდა, მადლობა გადაგიხადოთ ჩვენი მოსაზრებების ურთიერთგაზიარებისა და იმ არაჩვეულებრივი სადილის გამო, რითაც თქვენ გამიმასპინძლდით ჩემი ბოლო ვიზიტის დროს. მივესალმები თქვენი მთავრობის ურყევ მისწრაფებას ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ და ამ მიზნის მისაღწევად საჭირო ფართომასშტაბიანი რეფორმების ჩატარებას. მადლობელი ვარ წელს მთავრობის მიერ ჩატარებული რეფორმების შესახებ ინფორმაციის მოწოდებისთვის, განსაკუთრებით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურაში. მოკავშირეები და NATO აგრძელებენ თქვენი მცდელობის მხარდაჭერას.

ასევე, მოხარული ვარ, რომ მოგვეცა შესაძლებლობა, ერთად ჩაგვეტარებინა „ერთობლივი სწავლებისა და შეფასების ცენტრის“ ინაუგურაცია, როგორც მთავარი ელემენტი, შარშან, უელსის სამიტზე მიღებული NATO-საქართველოს მნიშვნელოვანი პაკეტისა. ნება მომეცით, კიდევ ერთხელ მოგილოცოთ თქვენი ხელმძღვანელობის დროს საქართველოს მიერ მიღწეული ყველა წარმატება და გისურვოთ წინსვლა მომავალ საქმიანობაშიც. გულწრფელად თქვენი, იენს სტოლტენბერგი საქართველოს პრემიერ-მინისტრს, მის აღმატებულებას, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, თბილისი”.

პრეზიდენტ მარგველაშვილისადმი გაგზავნილ წერილში კი აღნიშნულია, რომ NATO-ს გენერალური მდივანი მოუთმენლად ელის NATO-საქართველოს კომისიის ფარგლებში, დიალოგის გაგრძელებას:

„საქართველოს პრეზიდენტს, მის აღმატებულებას, ბატონ გიორგი მარგველაშვილს

ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო გიორგი, მსურს, მადლობა გადაგიხადოთ საქართველოში ჩემი ბოლო ვიზიტის დროს ჩემი და ჩემი დელეგაციის მასპინძლობის გამო; განსაკუთრებით კი, იმ გამორჩეული სადილისთვის, რომლითაც თქვენ გამიმასპინძლდით.

ჩემთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო ჩვენი საუბარი NATO-საქართველოს ურთიერთობასა და რეგიონში უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. მადლობელი ვარ შავი ზღვისა და კასპიის ზღვის რეგიონებში განვითარებული მოვლენების შესახებ თქვენ მიერ გაზიარებული მოსაზრებებისათვის. ასევე, მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა გვქონდა, ერთად ჩაგვეტარებინა „ერთობლივი სწავლებისა და შეფასების ცენტრის“ ინაუგურაცია, რომელიც NATO-საქართველოს არსებითი პაკეტის საკვანძო ელემენტს წარმოადგენს. საქართველო რჩება NATO-ს მთავარ პარტნიორად, როგორც ჩვენი საერთო მიზნების მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი და ალიანსის წევრობის ასპირანტი ქვეყანა.

მოუთმენლად ველი NATO-საქართველოს კომისიის ფარგლებში ჩვენი დიალოგის გაგრძელებას.

პატივისცემით, იენს სტოლტენბერგი NATO-ს გენერალური მდივანი“.

„პია“

„არტარეაში“ თიბისი ბანკის ახალი პროექტის პრეზენტაცია გაიმართა

#წერექართულად — ქართული დამწერლობის პოპულარიზაცია ინტერნეტსივრცეში

პარასკევს, 17 სექტემბერს, „არტარეას“ ეზოში, თიბისი ბანკის ახალი პროექტის — #წერექართულად პრეზენტაცია გაიმართა. ამ პროექტის მხარდამჭერია ელექტრონული წიგნების სახლი „საბა“, რომელმაც ქართული ენისადმი მიძღვნილი მხატვრული ნაწარმოებები, სამეცნიერო კვლევები და პუბლიცისტური წერილები ანთოლოგიაში გააერთიანა და მკითხველებს საკუთარ გვერდზე — saba.com.ge უფასოდ სთავაზობს. პრეზენტაციის მსვლელობისას, „არტარეას“ გალერეაში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კალიგრაფების შექმნილი ხელნაწერები გამოფინეს.

თიბისი ბანკის ახალი პროექტი #წერექართულად, ქართული დამწერლობის პოპულარიზაციას, ასევე ენის, როგორც ეროვნული ფასეულობის დაცვასა და განვითარებას ემსახურება. ეს პროექტი რამდენიმე წამოწყებას აერთიანებს, მათ შორის, ელექტრონულ მოწყობილობებში ქართული ანბანის პოპულარიზაციას, ახალი ფონტების შექმნას, ლექსიკონების გამდიდრებასა და ენის გათავისუფლებას პარაზიტი სიტყვებისგან.

თიბისი ბანკის დამფუძნებლის, **მამუკა ხაზარაძის** განცხადებით, ჩვენ სულ უფრო ნაკლებად მოვიხმართ ქართულ ანბანს ყოველდღიურ ცხოვრებაში — სოციალურ ქსელებსა და მობილურ ტელეფონებში:

„სწორედ ამის შედეგია ის, რომ უცხო სიტყვები, ბარბარიზმები და ჟარგონები მკვიდრდება. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ პროექტს #წერექართულად შემოქმედებითი და სახალისო ფორმით პოპულარიზაცია სჭირდება. მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, სპეციალისტსა და უბრალოდ მოხალისეს, რომლებმაც მხარი დაგვიჭირეს და ჩვენთან ერთად, ამ პროექტის კეთილი ნების ელჩები გახდნენ“.

მამუკა ხაზარაძის განცხადებით, პროექტს #წერექართულად პირველი დღეებიდანვე შეურთდნენ ენათმეცნიერები, ლიტერატორები, მწერლები, პედაგოგები და პარტნიორი ორგანიზაციები: Microsoft, Leavingstone, Lemondo, „ჯეოლაბი“ და სხვები. მისივე თქმით, ამ კომპანიების დახმარებით, რამდენიმე ინიციატივა განხორციელდება, მათ შორის, ქართული ფონტების კონკურსი, ინგლისურიდან ქართულ ენაზე ონლაინთარგმანის გაუმჯობესება და საუკეთესო ინგლისურ-ქართული ლექსიკონების გაციფრულება.

ქართული ფონტების კონკურსს ცნობილი დიზაინერი, ზვიად ციკოლია უხელმძღვანელებს. ამ კონკურსის მიზანი ახალი ქართული ფონტების შექმნაა, რადგან ამჟამად ქართული ფონტების საკმაოდ მცირე არჩევანი არსებობს და სხვადასხვა ფორმატს მორგებული არ არის. დიზაინერის განმარტებით, კონკურსის ფარგლებში, უცხოელი და ქართველი სპეციალისტებისგან შემდგარი 6-კაციანი ჟიური შეიქმნება, რომელიც კონკურსზე შემოსულ ფონტებს შეაფასებს, მათ შორის კი 10 საუკეთესოს გამოავლენს. ქართული ფონტების კონკურსზე ნამუშევრები ვებ-გვერდზე — წერექართულად.com უნდა გაგზავნოთ. სამომავლოდ, კონკურსის შედეგად შერჩეული ფონტების გამოყენება ნებისმიერ მსურველს შეეძლება:

„ასეთი კონკურსი საქართველოში პირველად ტარდება. სულ მალე წარმოგიდგენთ კონკურსის სახელსა და მის სრულ შეფუთვას, თუმცა საზოგადოებისთვისაც ძალიან საინტერესო იქნება ამ კონკურსის სახელის შერჩევა. მართალია, კონკურსი პირველად ტარდება, მაგრამ გვინდა, ის ყოველწლიური გახდეს. თავისთავად, კონკურსი სხვადასხვა ტიპის ქართული შრიფტების შექმნას ეხება, რომლის ჩამოტვირთვას ნებისმიერი მსურველი უფასოდ შეძლებს. ვფიქრობთ, საკმაოდ საინტერესო კონკურსი გამოვა, რადგან გვსურს, მასში მონაწილეობა ახალგაზრდა თაობამ — სტუდენტებმა მიიღონ, თუმცა ასაკობრივი ზღვარი არ დაგვიწესებია. კონკურსი ანონიმურად ჩატარდება, ჟიურის წევრებს არ ეცოდინებათ, კონკრეტულად ვინ მონაწილეობს კონკურსში. კონკურსის მონაწილეებს გარკვეული ნომერი, ანუ შტრიხკოდი მიენიჭებათ, რომლის საშუალებითაც ისინი შეფასდებიან. რაც მთავარია, კონკურსი საერთაშორისო იქნება, რადგან მის ფარგლებში შექმნილი და ჟიურის მიერ შერჩეული შრიფტები ჩაიტვირთება Microsoft-ისა და Google-ს მიერ. ქართველებისთვის ყველაზე დიდი განძი ქართული დამწერლობაა, რაც ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია და ამ კონკურსის არსი სწორედ ისაა, უკვე არსებული არაპროფესიონალური ქართული შრიფტები, ნელ-ნელა ჩავანაცვლოთ ამ კონკურსის ფარგლებში შექმნილი, გრამატიკულად გამართული და მართლაც მაღალპროფესიონალური შრიფტებით“, — განაცხადა **ზვიად ციკოლიამ**.

რაც შეეხება ინგლისურიდან ქართულ ენაზე ონლაინთარგმანის გაუმჯობესებას, თიბისი ბანკმა საერთაშორისო კომპანია Microsoft Georgia-თან, არასამთავრობო ორგანიზაცია PhInternational-სა და „ჯეოლაბთან“ ერთად, ქართული თარჯიმანი პროგრამის შექმნაზე დაიწყო მუშაობა. ამ პროექტის ფარგლებში, ელექტრონული წიგნების სახლის „საბას“ სრულ ბაზას გამოიყენებენ, რომელზე დაყრდნობითაც, ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმანი უფრო სრულყოფილი და ხარისხიანი გახდება. კერძოდ, ინტერნეტში ძიებისას, ხელმისაწვდომი იქნება ზუსტი და მრავალფეროვანი ქართული შესატყვისები.

პროექტის საუკეთესო ინგლისურ-ქართული ლექსიკონების გაციფრულების ფარგლებში, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად, ორი ყველაზე სრულყოფილი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის გაციფრულება იგეგმება, რაც ყველა მსურველისთვის ღია რესურსი იქნება.

მაია მიშელაძე

ექსპერტები 2016 წელს „ვარდების რევოლუციის“ სცენარს წინასწარმეტყველებენ

მე-3 გვერდიდან

„ოცნება“ დღესაც თუ ვერ ხვდება, რომ მეჭიაურები სახედ კი არ უნდა აქციოს, უნდა გააჩუმოს, მაშინ არ მესმის, ამაზე კრიტიკული დრო როდის უნდა დაუდგეთ — 2016 წლის არჩევნებზე ხმების დათვლის პროცესში?! მაკვირვებს ხელისუფლების არაადეკვატურობა და თუ არჩევანი კიდევ მეჭიაურებზე უნდა შეჩერდეს, მაშინ საქმე ძალიან ლოგიკურად მიდის ამ ხელისუფლების დასრულებისკენ!“

ნაციონალების გამარჯვებას სოსო ციხარიშვილიც გამორიცხავს, მეტიც, იგი ამ პარტიის ორ ნაწილად დაშლაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ასრულებული ოცნებების რაოდენობით, ამ წუთებში, ნაციონალები „ოცნებას“ უსწრებენ. კითხვას, რა იცვლება გიგი უგულავას გათავისუფლების შემდეგ, ექსპერტი ასე პასუხობს: „უგულავას ციხიდან გამოსვლით ძირეული ცვლილებების მოლოდინი გადაჭარბებულია. ეს ქართული პროკურატურის შეგნებული თუ შეუგნებელი სისუსტეა. მან, ფაქტობრივად, ქართული სახელმწიფოებრიობა შეარცხვინა, რადგან თვეების განმავლობაში დამაჯერებელი ვერაფერი შესთავაზა სასამართლოს და კვლავ რჩება ქვეყანაში კითხვა: ისევ ზურაბ ადეიშვილი აკონტროლებს ქართულ პროკურატურას, თუ ამ თემაზე ნაციონალებსა და „ოცნებას“ შორის გარკვეული კოჰაბიტაციაა?! ნებისმიერ შემთხვევაში, სწორედ პროკურატურაა ის სისტემა, რომელიც საქართველოს დემოკრატიულ პერსპექტივას ვნებს. ფაქტია, უგულავა პარტიის რიგითი წევრი არ ყოფილა და ამდენთვიანი პატიმრობა მისი მომდევნო პოლიტიკური ნაბიჯების წარმატების გარკვეული წინაპირობაც იქნება. ერთიცაა, შესაძლოა, ამ პარტიის ლიდერებს შორის გარკვეული გაუგებრობებიცაა და უფრო რეალური ხდება ამ ძალის სულ ცოტა ორ ნაწილად გაყოფა. თან, ჯერჯერობით უცნობია, თავად უგულავას რეალური განწყობა სხვადასხვა ლიდერის მიმართ. მას საკმარისზე მეტი დრო ჰქონდა საპყრობილეში ამ თემებზე დასაფიქრებლად და არ მგონია, იგივე შეხედულებებით გააგრძელოს პოლიტიკური ცხოვრება. ამ პარტიას საკუთარ რიგებში რაღაცები მართლაც რომ შეეცვალა, 2016 წელს ხელისუფლებაში მოსვლის რაღაც შანსი ექნებოდათ, მაგრამ ხალხს არც ისე მოკლე მეხსიერება აქვს, რომ მიდგომა რადიკალურად შეცვალოს იმ ძალის მიმართ, რომელიც ცოტა ხნის წინ, დიდი სიხარულით მოიცილა“.

საგარეო ურთიერთობების ექსპერტი და პოლიტოლოგი თორნიკე შარაშენიძე აღნიშნავს, გიგი უგულავას პროცესის შემდეგ მანამდე „ოცნების“ არცთუ აქტიურ ლიდერებს ლამის პანიკის შეტევა დაემართათ და მოვლენებს არაადეკვატურად გამოეხმაურნენო. ჯამში, ისიც სააკაშვილის რევანშსა და „ვარდების რევოლუციის“ გამეორებას ელის: „ოცნების“ მხურვალე მხარდამჭერთა რიგებში ეს ხელისუფლება იმით იყო მაგარი, რომ ბაჩო ახალაია, გიგი უგულავა და ვანო მერაბიშვილი ციხეში ჩასვა. ახლა, როცა „სამართლიანობის აღდგენის“ მითიც თავზე ენგრევათ, ბუნებრივია, ეს მათთვის დიდი შოკია.

> **„ოცნებას“ ხალხი მაძღარი, კმაყოფილი და დასაქმებული რომ ჰყოლოდა, ციხეში ერთი უგულავათი მეტი თუ ნაკლები იჯდება, ამაზე მაინცდამაინც ბევრი არ იდარდებდა. თუმცა როცა პოზიციები ისედაც შერყეული აქვთ, რადგან ეკონომიკა თავზე გვენგრევა, მარტო ვიღაცის დაჭერა საქმეს აღარ შველის და ხალხს ადეკვატური კითხვა უჩნდება — უგულავას დაჭერა ვჭამოთ?! „ოცნების“ მთავარი პრობლემა ხომ, რეალურად, ეკონომიკური კრიზისია და აქედან მოდის ყველა დანარჩენი.**

ახლა, გინდ ასე ატრიალონ, გინდ — ისე, უგულავას ციხიდან გამოსვლა მაინც „ოცნების“ დამარცხებაა, რასაც ამ ცირკის არმოწყობით შეარბილებდნენ, თუმცა მაინც მოაწყვეს.

ნაციონალებშიც მიდის რაღაც ცვლილებები. გუნდში განხეთქილება რომაა, ეს ჯაფარიძის ოთხეულის წამოსვლითაც გამოიხატა. თუმცა ჯერ კიდევ ჰყოფნით იმდენი პოლიტიკური გამოცდილება და პრაგმატულობა, ეს არ გამოაჩინონ. მით უმეტეს, ყველას საერთო მტერი ჰყავს ივანიშვილის სახით. ამდენად ახლა მათი მთავარი ამოცანაა, ეს მტერი მოიშორონ ან შეასუსტონ მაინც. ასე რომ, მთავარი მიზანი ერთმანეთში ურთიერთობების გარკვევა და განხეთქილების დაწყება ვერ იქნება. გიგის გამოსვლა, ამ ეტაპზე, ნაცმოძრაობის მორალურად გამაგრებაა, მეტი არაფერი. არჩევნებამდე წელიწადზე მეტი რჩება. ამ პერიოდში ნამდვილად არ ველოდები ეკონომიკური ვითარების გამოსწორებას. მეტიც, ვხედავ, მთავრობა დაშვებულ შეცდომებს არც აღიარებს. ესაა მთელი უბედურება, რომ ყველაფერი კარგადააო, გაიძახიან და თვითკმაყოფილები დადიან. ცოტა ხანში, სტრასბურგის სასამართლო გაიმართება ვანო მერაბიშვილის საკითხთან დაკავშირებით. ალბათ, სასამართლო საქართველოს მთავრობის მიმართ ძალიან კრიტიკული იქნება და ამით ხელისუფლებას კიდევ ერთი დარტყმა მიადგება. ამ სიტუაციას იმდენად ნაციონალური მოძრაობა არ იგებს, რამდენადაც აგებს „ქართული ოცნება“. სავარაუდოდ, „ოცნების“ პოზიციები არჩევნებამდე კიდევ უფრო შეირყევა, რაც ავტომატურად ნაციონალების უმრავლესობაში მოსვლას არ ნიშნავს. თუმცა „ოცნების“ მერე, ყველაზე დიდი და შეკრული პარტია მაინც ნაციონალური მოძრაობაა. სიმართლე გითხრათ, ორი წლის წინ ვერც ვიფიქრებდი, რომ ამ პარტიას ხელისუფლებაში დაბრუნების რაიმე შანსი ექნებოდა, ახლა კი ვხედავ, მათ თეორიული შანსი უჩნდებათ. დრო ნაციონალების სასარგებლოდ მოქმედებს, რადგან ეკონომიკური ვითარება უარესად მძიმდება და მას „ოცნება“ არჩევნებამდე ვერ გამოასწორებს, ამიტომაც ვფიქრობ, ისინი მოთმინებას მოიკრებენ და მშვიდად მივლენ 2016 წლის არჩევნებამდე.

> **რაც შეეხება სააკაშვილს, არ მჯერა, რომ იგი უკრაინაში ყოფნით დაკმაყოფილდება. მას რევანში უნდა ივანიშვილზე და ამისათვის შესაბამის დროს ელოდება. ეს, რა თქმა უნდა, 2016 წლის პოსტსაარჩევნო პერიოდი იქნება. სააკაშვილი რას ფიქრობს, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ლოგიკური იქნება, გათვალოს, რომ „ოცნება“ არჩევნებში ან წააგებს, ან შედეგებს გააყალბებს და ამით ახალ „ვარდების რევოლუციას“ გამოიწვევს“.**

არ ენდო ქალს!

პატიმარი №0578

დღეს საქართველოში უამრავი ბინა ქირავდება. ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც ბინას ხელშეკრულებით აქირავებს და გადასახადს იხდის ბიუჯეტში. ძირითადად, გაქირავება პირდაპირ, ზეპირი მოლაპარაკებით ხდება და ადამიანები ნდობის საფუძველზე რიგდებიან. რამდენად კარგი ან ცუდია ეს, ვერ გეტყვით, მაგრამ ის რომ ხელშეკრულებას უმრავლესობა გვერდს უვლის, სიდუხჭირითაა გამოწვეული. სწორედ სიდუხჭირემ გააქირავებინა ბინა ვაკეში კოკა ზ-ს და ამან ციხემდე მიიყვანა.

კოკა ძირძველი ვაკელი იყო და როცა ზონაზე მოიყვანეს, ვაკელებმა თუ ვერელებმა, დიდი პატივით მიიღეს, წესიერი კაცია, სისულელის გამო მოხვდა ციხეშიო. კოკა „სისულელის“ გაგონებაზე უხერხულად იღიმოდა, მაგრამ არაფერს ამბობდა.

„ხომ იცი, ადრე თუ გვიან, მოგიწევს მოყოლა და რაც მალე მომიცილებ, უკეთესია შენთვის“, — გაუღიმა ერთ დღეს კოკას პატიმარმა №0578-მა, რომელსაც კოკასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა.

„ამათ ჰგონიათ, რომ იციან, რეალურად რა მოხდა და სისულელეო იმიტომ ამბობენ. სინამდვილეში რა მოხდა, მარტო მე ვიცი, მარტო მე“, — ცოტა არ იყოს, გაბრაზებით თქვა კოკამ.

„და არ იტყვი, რა მოხდა?!“

„ქალს არ ენდო არასდროს... ქალს... დამიჯერე, რა... ქალს არ ენდო და ყოველთვის წინ იქნები“, — უთხრა კოკამ, მერე ერთი ამოიხვნეშა და დაიწყო.

„მშობლები რომ გარდაიცვალნენ ავარიაში, მარტო დავრჩი. ჩემი და საზღვარგარეთ არის სასწავლებლად, თავს კი უვლის, მაგრამ მეც ხომ არ მომივლიდა და ბევრი ფიქრის შემდეგ, ბინის გაქირავება გადავწყვიტე. მე გლდანში ვიქირავე ერთოთახიანი და ჩემი ოთხოთახიანი ვიღაც ბულგარელებს მივეცი ათას დოლარად. ექვს თვეში წავიდნენ ის ბულგარელები და ისევ გაქირავება გადავწყვიტე. ჰოდა, ერთ დღეს დამადგა ვიღაც ეკა და მითხრა, ქირაობა მინდაო. დამადგა, რა, დამირეკა და შეხვედრა ვაკეში დავუთქვი, სახლი ხომ უნდა ენახა...

„ინფინიტის“ შავი ჯიპიდან ქალი კი არა, ქალღმერთი გადმოვიდა. არ იცი, რა ქალი იყო... საოცარი, მაგარ ზმანზე. გაგეცინება და, პირველი რაც ვიფიქრე, ბევრი ფული აქვს, გადახდა არ გაუჭირდება-თქო. ბინა ნახა, ათასი დოლარი ამოიღო და ღიმილით მითხრა, ერთი თვე აქ არ დაგინახოო. გამეცინა და წამოვედი. ერთი თვის შემდეგ შევეხმიანე. ჯერ გაიოცა, ვინ ხარო და მერე, უი, ჰო, ბინის ქირაო და ისევ ჩემს სახლში დამითქვა შეხვედრა. მივედი, გარეთ ველოდებოდი და თან მეზობლებს ვესაუბრებოდი. მეზობლებმა, რა ეკა, რის ეკა, შენს ბინაში შესული და გამოსული არავინ მინახავსო. მოვიდა ისევ ეკა, შევედით ბინაში და მივხვდი, არავის ჰქონდა ნაცხოვრები. მტვერი იყო ყველაფერზე და ის წვენის ბოთლიც, რომელიც წინა თვეს დავტოვე მაგიდაზე, ისევ ისე, ხელუხლებელი იდო.

ვკითხე, რატომ არ ცხოვრობ ამ ბინაში-მეთქი და შემომიტია, შენ რა გაინტერესებს, მე სად ვათენებ ღამეს თუ ქირას დროულად გადაგიხდი თუ არაო... რა უნდა მეთქვა, გამოვართვი ათასი დოლარი და წამოვედი. ამ ამბიდან ორი კვირის შემდეგ, ვაკეში შევრჩი, ნასვამი ვიყავი. ბინის გასაღები ჯიბეში მედო და ვიფიქრე, დავრჩები, ეკა მაინც არ ცხოვრობს-მეთქი. მივედი, დავაკაკუნე, კარი არავინ გამიღო და შევედი. ღამის ორი საათი იყო და მივხვდი, ეკა ყოველდღე თუ არა, რაღაც პერიოდს მაინც ატარებდა ბინაში, მტვერი გადაწმენდილი იყო და მაცივარშიც მაიონეზი და კვერცხი ვნახე. ჯერ გამობრუნება გადავწყვიტე, მერე ვიფიქრე, სამ საათამდე დაველოდები და თუ არ მოვიდა, მერე წავალ-თქო. ალბათ, სასმელის ბრალი იყო, გადავწყვიტე ლოგინის ქვეშ შევმძვრალიყავი — თუ მოვიდა, აქ რომ დამინახოს, ტეხავს-მეთქი. შევძვერი კიდეც და ჩამეძინა. დილით ბრახუნმა გამაღვიძა, გამოვძვერი, კარი გავაღე და პოლიციელების ნაკადმა შიგნით შემაგდო. ხელები გადამიგრიხეს, ოთახები გაჩხრიკეს და მეორე საძინებლიდან ეკა გამოათრიეს.

ხმამაღლა იკითხეს, ბინა ვისიაო და მე ვუპასუხე, ჩემი მეთქი. თუმცა ისიც დავაყოლე, ამ ქალზე მაქვს მიქირავებული-თქო. იცით, რა ქნა ეკამ? გაოცებისგან შეჰკივლა, რა მიქირავებული, „პუტანკა“ ვარ, ამან ამომიყვანა, მთვრალი იყო და არაფრის თავი არ ჰქონდა, პირველად ვარ ამ ბინაშიო. ატყდა მთელი ამბები და ბოლოს ეკამ თქვა, თუ თვეზე მეტია ეს ბინა მაქვს ნაქირავები, მაშინ მეზობლებმა დაადასტურონ, რამდენჯერ მნახესო. რაღა თქმა უნდა, მეზობლებმა ვერაფერი დაადასტურეს და ეკამაც ღიმილით ამოიღო პასპორტი, კლიენტებისთვის ხან ეკა ვარ, ხან მაკა და ხან თათია, ისე თამარი მქვიაო.

მოკლედ, ჩხრეკის შედეგად, ბინიდან ნახევარი კილო სუფთა ჰეროინი ამოიღეს. რაღა თქმა უნდა, მე შემტენეს და აქ გამომისტუმრეს. 15 წელი მაქვს შეძენა-შენახვაზე, საბედნიეროდ, გასაღებაზე არაფერი თქვეს და ხელიც არავინ დამადო, კოკა წამალს ყიდდაო“, — დაასრულა კოკამ.

„და რა არის აქ დაუჯერებელი და ისეთი, მარტო შენ რომ იცი ვითომ?!“ — გაიოცა №0578-მა.

„სასამართლოზე ძმაკაცები დადიოდნენ. ბოლო სასამართლოზე ვიღაც ქალი მოვიდა, უცნაურად იყო ჩაცმული, დღემდე არ იციან ჩემმა ძმაკაცებმა, ვინ იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეკა იყო, პარიკი ეკეთა უბრალოდ და გასვლისას ჯერ გულზე მიიდო ხელი, მერე ცერა თითი შემართა ანუ ყველაფერი კარგად იქნებაო. შეიძლება გიჟად ჩამთვალო, მაგრამ მჯერა, არ დამტოვებს და გამიყვანს“,— თვალები გაუბრწყინდა კოკას.

„აუფ“, — თავისთვის თქვა №0578-მა.

„რა აუფ?!“ — ჩაუსაფრდა კოკა.

„ჯერ ერთი, შეყვარებული ხარ შენ მაგ ეკა-მაკაზე და მეორეც, რამის გაკეთების ერთი ადგილი რომ ჰქონდეს, მეოთხე წლის ათვლას არ დაიწყებდი“, — განუმარტა №0578-მა.

„კარგი და... თუ ასეა, ყოველ კვირა ვის მოაქვს ჩემთვის ამანათი, ვინ მირეცხავს, ვინ მიუთოვებს... ვიღაც ქალია, გარეთ ნახეს ძმაკაცებმა და ასე თქვა, ერთმა ქალმა დამიქირავა, ფულს ბანკით მიგზავნის და მე ამის მოვლა მევალებაო. მაშინ ის მითხარი, ვინ არის ის ქალი? ჩემი და ისევ გერმანიაშია, ჩემები აღარ არიან და ვინ არის მაშინ, მითხარი?!“ — კოკა ყვირილზე გადავიდა.

„ნუ მეჩხუბები. არის მაგაში ლოგიკა, რასაც ამბობ, მაგრამ მოვლა და პატრონობა არ ნიშნავს, რომ გავლენიანია და უეჭველი გაგიყვანს. სინდისი აწუხებს აშკარაა და დანარჩენი ვნახოთ“, — ჩუმად უთხრა №0578-მა.

* * *

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, კოკას თავისი საქმის პროკურორმა დაუძახა და უთხრა, ვაკის ბინას თუ დათმობ, პრეზიდენტი შეგიწყალებსო. უარი თქვა კოკამ, ეგ დამრჩა მშობლებისგან და ვერ შეველევიო, თუმცა ამ ამბიდან ორ კვირაში დაუძახეს და თავისუფლებაზე გაუშვეს. პატიმრები ამბობდნენ, ვიღაც ქალმა გადაიხადა დიდი ფული და იმის სანაცვლოდ გაძვრაო...

* * *

კოკას გაუმარჯოს. როგორ ხარ, ძმა?“ — პატიმარი №0578 კოკას რუსთაველის ძეგლთან შეხვდა. კოკამაც გულით გაიხარა მეგობრის ნახვა და...

„გაიცანი, ეს ეკაა“, — გააცნო №0578-ს გვერდით მდგომი ქალი.

„მოიცა კაცო, აბა, საბუთებით თამარიო?!“ — გაოცდა პატიმარი და ქალი არანაკლებ შეცბა.

„ჰო, თამარი, მაგრამ მე ეკას ვეძახი დღემდე.. ხომ გითხარი, მიშველის-თქო. ახლა ჩამოვედით საქორწინო მოგზაურობიდან. ცოლია ჩემი...“ — კოკა ბედნიერებას ასხივებდა, — ის წამალი არც ამისი იყო, დამიჯერე და სიტყვაზე მენდე“.

* * *

ორი თვის წინ თამარ ბ. ნარკოტიკების გასაღების ბრალდებით პოლიციამ დააკავა.

ნაციონალების კრახი

ლაშა დვალი

იმ დროის განმავლობაში, რომელიც თბილისის ყოფილმა მერმა, გიგი უგულავამ თავისუფლებაზე გაატარა, პრაქტიკულად, მაქსიმუმი გააკეთა იმისთვის, რათა საკუთარი თავის პიარი მოეხდინა და საზოგადოებისთვის დაენახვებინა, რომ ნაციონალური მოძრაობა ცოცხალია. მან მოასწრო აქციების ჩატარება, მოასწრო სატელევიზიო ინტერვიუს მიცემა და რაც მთავარია — მოასწრო თანაგუნდელებისთვის ეთქვა იმ მინუსებისა და პლუსების შესახებ, რომელიც გვერდიდან ჩანს.

სიტყვაზე გვენდეთ — ციხიდან დანახული პოლიტიკური პროცესები სულ სხვანაირად ჩანს, ვიდრე გარედან. რაც მთავარია, ნაციონალური მოძრაობის ლიდერები მიხვდნენ, რომ „მიშა, მიშას“ ძახილით შორს ვეღარ წავლენ და ახალი ლიდერი სჭირდებათ. ის ახალი კი, დიდი ალბათობით, სწორედ გიგი იქნება, რადგან მისგან ახლა ყველაზე მარტივია წამებულის ხატის შექმნა და რაც მთავარია, ნაციონალების კიდევ ორი წონიანი პატიმარი, ბაჩანა ახალაია და ვანო მერაბიშვილი მკვლელობებთან ასოცირდება, გიგის კი ჯერ მკვლელობას არავინ ედავება.

შესაძლოა, ბევრმა არ მიაქცია ყურადღება, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა მოსამართლის განაჩენის გამოცხადებისას აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ მერყოფილს საჯაროს სამსახურში მუშაობა ექვსი თვით აეკრძალა, თუმცა ეს აკრძალვა მხოლოდ დანიშვნით თანამდებობებზე ვრცელდება, არჩევითი თანამდებობის დაკავების უფლება კი უგულავას კონსტიტუციით აქვს ანუ მან შესაძლოა არჩევნებზე კენჭი იყაროს. უფრო კონკრეტულად კი, დიდი ალბათობით, უგულავა სიის პირველი ნომერი იქნება და პარლამენტარის მანდატს, ყველა ვარიანტში, მიიღებს. მანამდე კი...

„ერთი თვის წინ მომცეს ტელევიზორის შეძენის უფლება, მანამდე, 14 თვე ტელევიზორი არ მქონდა. ამასთან ერთად, აბანო კვირაში ორჯერ არის, დანარჩენ დროს „ტოლჩით“ ვბანაობ. ყოფილ თანამდებობის პირებს არანაირი პრივილეგიები არ გვაქვს. სეირნობა დღეში ერთი საათით გვეკუთვნის...მთავარი გამოწვევა მარტოობაა. ხანდახან გრძნობ, რომ ქვედა ყბის ატროფია გეწყება, რადგან ეს ყბა საუბრისთვის და ჭამისთვის გაქვს, ჭამა კი საკმარისი არაა ამისთვის. ეს დიდი გამოცდილებაა ამასთანავე, რომელიც ემოციურად მთელი ცხოვრება გაგყვება, გიხსნის მესამე თვალს და შეძლებ, ნაპირის იქიდან დაინახო სამყარო... პირველი პერიოდი გაქვს ისე, რომ თითქოს მოვარდნენ და კბილი ამოგგლიჯეს, შემდეგ უკვე სიცარიელის განცდა რჩება, მერე ამასაც ვეღარ გრძნობ და იძენ იმ თვისებებს, რაც იქ გჭირდება, ხარ იქაური, ახალი თვისებებით, იქაური ცხოვრებით“, — ეს განცხადება უგულავამ სატელევიზიო ინტერვიუს დროს გააკეთა.

ბატონ გიგის ერთი რამ დაავიწყდა და შეუძლია გვერდით საკანში ბაჩო ახალაიას გასძახოს, ის შეახსენებს — მათი მმართველობის პერიოდში ციხეზე ტელევიზორის ხსენებაც კი ცემა-ტყეპით ისჯებოდა, აბანო კვირაში ერთხელ იყო და რაც მთავარია, ათ წუთში უნდა მოგესწრო გახდა, დაბანა და ჩაცმა, რადგან დროის გადაცილებაც ცემით ისჯებოდა. გასეირნებას ანუ ე.წ. პრაგულკას რაც შეეხება, ეგეც ათწუთიანი იყო და რაც მთავარია, თუ გაბედავდი და „პრაგულკას“ კვირაში ორჯერ მოითხოვდი, საკანში დაბრუნებულს ყველაფერი ყირაზე გხვდებოდა. ამით ოფიცრები მიგანიშნებდნენ, რომ სასეირნოდ კვირაში ერთხელ გასვლა საკმარისი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში საკნის ძირფესვიანად დალაგება გიწევდა ახლიდან. ჰო, კიდევ, ის მაინტერესებს, როგორ ლეიბებზე გძინავთ, ბატონო გიგი, რადგან თქვენი მმართველობის პერიოდში, ლეიბში ნახერხი ეყარა, რომელსაც ბამბას ეძახდით და ბალიშის ნაცვლად რაღაც ნაგლეჯი იდო, რომელზეც თავი არ ეტეოდა.

თავად უგულავას გამოშვებაც სერიალს ჰგავდა. საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, უგულავას მეგობარი და ნაციონალების გუნდის წევრი გიორგი პაპუაშვილი მერაბ ტურავას საავადმყოფოში „დაადგა“ სარჩელზე ხელის მოსაწერად, რაც უპრეცედენტო შემთხვევაა. შემდეგ სასწრაფო წესით გამოაქვეყნეს გადაწყვეტილება და უგულავას ერთდღიანი თავისუფლება აჩუქეს სწორედ იმიტომ, რომ გიგის ის გაეკეთებინა, რაც გააკეთა. კულუარული ინფორმაციით, არსებობს ვარაუდი, რომ ქვეყნიდან უგულავას გაპარებაც იგეგმებოდა და რამდენიმე მიმართულებითაც მუშავდებოდა ეს ვარიანტი, მაგრამ ვერ მოხერხდა. საინტერესოა ისიც, რომ ნაციონალები ფართომასშტაბიან აქციას გეგმავდნენ და მას შემდეგ, რაც უგულავას დააპატიმრებდნენ, აქციები მისი გათავისუფლების მოთხოვნით ისევ უნდა გამართულიყო, თუმცა მათი მცირერიცხოვანი მხარდამჭერების გარდა, ქუჩაში „თავისუფლება გიგის“ ყვირილი არავინ მოინდომა.

ხელისუფლებამ კი დაამტკიცა, რომ კონსტიტუციის ერთგულია, კანონის უზენაესობას აღიარებს და ვინც უნდა იყოს ეჭვმიტანილი, ისე იქცევა, როგორც კანონი მოითხოვს. რა მოხდება 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე და შეასრულებს თუ არა „აბაროტის“ მუქარას უგულავა, ერთად ვნახავთ, თუმცა საამისო ნიშნები ჯერ აშკარად არ არის.

ნინო კომახიძე
599-95-33-16

რას დაპირდა ჯონდი ბაღათურია რუსებს ქართველი ხალხის სახელით?

„ყველამ იცის, რომ რასაც ვამბობ, სწორია, მაგრამ ხმამაღლა თქმის ეშინიათ — რუსეთს უნდა მივცეთ გარანტია, რომ...“

„გვყავს ძალიან კარგი მეზობლები, რომლებთანაც ურთიერთობების დალაგებას ვცდილობთ, მაგრამ ჩვენი ერთადერთი ბუნებრივი მოკავშირე რუსეთია. მას მარტო საქართველოში კი არა, მთელ რეგიონში შეუძლია სტაბილურობის უზრუნველყოფა. მისნაირი სხვა არ არის“, — ეს ჯონდი ბაღათურიას სატელევიზიო კომენტარია რუსულ ტელეარხთან, მისი მოსკოვში ვიზიტისას. ამ კომენტარის შემდეგ ფონად ნატო-ს სასწავლო ცენტრის კადრები გადის და წამყვანი აცხადებს: „ბაღათურია დარწმუნებულია, რომ საქართველოს ბევრი მოქალაქე რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის მომხრეა. იგი საქართველოს ნატო-ში შესვლას ეწინააღმდეგება. მისი აზრით, ამერიკამ რუსეთთან კონფლიქტი ღიად უნდა მოაგვაროს და ამაში სხვა ქვეყნები საიდუმლოდ არ უნდა ჩართოს“. აი, ასე დაარწმუნა ქართველმა ოპოზიციონერმა გოსდუმა, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების დიდი ნაწილი დასავლეთისკენ კი არა, რუსეთისკენ მიილტვის. იგი ერთმორწმუნე ოკუპანტს ალტერნატიულ ნატო-დაც მიიჩნევს და ფიქრობს, რომ რუსეთმა სამხედრო დახმარებაც უნდა გაგვიწიოს. იმედია, რუსულ სამხედრო ტექნიკას ამ „დახმარების გასაწევად“ ჩვენს ქვეყანაში თავად არ შემოუძღვება, მოსკოვში შემდეგ ვიზიტამდე მაინც, რომელიც რუსეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ოქტომბერშია დაგეგმილი. მანამდე კი მოსახლეობის 80%-ის სახელით, „ვერსიას“ „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ესაუბრება.

— რუსები ძალიან თბილად შეგვხვდნენ. პირველი ორი დღე აფხაზეთი და სამაჩაბლო სპეციალურად არ მიხსენებია: ვსაუბრობდი, რა შეიძლება მოიტანოს რუსეთ-საქართველოს მოკავშირეობამ და ჩვენ რა გარანტია უნდა მივცეთ რუსეთს. მესამე დღეს თავად მკითხეს, აფხაზეთ-სამაჩაბლოზე სიტყვას რატომ არ ძრავო. ვუპასუხე, ამ თემით ურთიერთობის დაწყების აზრს ვერ ვხედავ, რადგან შესაძლოა, დასაწყისშივე დავასრულოთ-მეთქი. ეს პროცესია, რომელსაც თავის პოლიტიკური ფასი აქვს. მათ სიტყვებს გეტყვით: თითქმის 25 წლის განმავლობაში, პირველი შემთხვევაა, როცა საქართველოდან ჩამოდიან და რეალურ წინადადებებს, კონკრეტულ გეგმებს გვთავაზობენო. უკვე ცნობილია ამ მიზნისკენ მიმავალი გზაცა და ფორმატიც. ასეთი შეფასება უკვე გამარჯვებაა! შევხვდი აღმასრულებელი, საკანონმდებლო ხელისუფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს. ჯერ შეთანხმება არ შემდგარა, ეს საკითხები, ალბათ, პრეზიდენტთან უნდა გაიარონ. პოზიტიური ვიზიტი მქონდა გოსდუმაში და უკვე შემდეგი შეხვედრაც ჩანიშნულია. შევთავაზე, კონფერენცია მოვაწყოთ, მედიაც დავასწროთ-თქო. ჩემი პირობაა, ეს პროცესი სკანდალებისა და მარგინალებისგან დაიცვან, რომელიც ორივე ქვეყანაში გვისაფრდებიან. შევთავაზე, სამუშაო ჯგუფი შეიქმნას, სადაც ორივე მხრიდან პოლიტიკოსები და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები იქნებიან. მათ შორის მარგინალიზაციის გზაზე დამდგარ პოლიტიკოსებს არ ვგულისხმობ, რომლებიც გრანტის გამო ყველაფერზე წავლენ.

— და ჩვენი ხელისუფლება?

— ეს მათაც იკითხეს — ხელისუფლების პოზიცია რა არის და ამ დონეზე ჩვენს საუბარს რა პერსპექტივა აქვსო. ვფიქრობ, „ოცნებას“ აქვს არჩევანი, ჩაერთოს ამ პროცესში, მაგრამ მის შიშს, დასავლეთში ვინმემ რამე სხვანაირად არ გაიგოს, ჩვენს უსაფრთხოებასა და ტერიტორიულ მთლიანობას ვერ გადავაყოლებთ. რუსებს ვუთხარი, პროცესი დავიწყოთ, ხელისუფლების წარმომადგენლებს დაველაპარაკები, ამ საქმეში ჩაერთონ ოფიციალურად, ღიად, ან კულუარულად და ნდობით აღჭურვილი პირი წარადგინონ, რომლის ვინაობას ჩემგან ვერავინ გაიგებს.

— ზუსტად ვერ გავიგე, რა პროცესზე ვსაუბრობთ, ეკონომიკურზე, პოლიტიკურზე?

— ეს პოლიტიკური პროცესია. ხელისუფლებას მუდმივად ჩავაყენებ საქმის კურსში. როცა უნდათ, შემოგვიერთდნენ, თუნდაც ფინალში და დაფნის გვირგვინიც დაიდგან, არ შევეცილები.

— ხელისუფლებას არასოდეს გამოუხატავს მსგავსი გეგმების მხარდაჭერა, არასაპარლამენტო ოპოზიციას კი, კუკავას, დავითაშვილს, ბურჯანაძეს თქვენამდეც ჰქონდათ მსგავსი ვიზიტები და რა შედეგი დადეს გარდა იმისა, რომ აგენტებად შეირაცხნენ?

— არ გეთანხმებით, ოპოზიციას არც ისე ცოტა ბერკეტი აქვს. სხვა კოლეგების ვიზიტებზე ინფორმაცია არ მაქვს და არც მაინტერესებს. აი, ბურჯანაძის ვიზიტი კი ძალიან სერიოზული იყო, რადგან ვიცი, რა საკითხებზე ისაუბრეს.

— რა შედეგი მოიტანა ბურჯანაძის ვიზიტმა?

— ჯერ პროცესი არ დასრულებულა. ჩვენ კოალიცია გვაქვს ბურჯანაძესთან და ცხადია, მათაც იცოდნენ ჩემი გეგმების შესახებ. რაც შეეხება იმას, აგენტს მიწოდებენ თუ არა, მგლის შიშით ფარა ვის გაუწყვეტია? პოლიტიკაში ნაზი პეპლების ადგილი არ არის. ეს ძალაუფლებისთვის ბრძოლაა.

— თქვენ რისთვის იბრძვით, ბატონო ჯონდი?

— ამ მძიმე ბრძოლაში მხოლოდ მათი ადგილია, ვისაც შინაგანი ძალა და გამბედაობა აქვს. ვიღაც რუსეთის აგენტს რომ მიწოდებს, ეს უინტერესოა.

— აუცილებლად დაგიძახებენ რუსეთის მიერ დაფინანსებულ ოპოზიციას, ამიტომ ფინანსების თემა აქვე ამოვწუროთ — ვინ აფინანსებს მოლაპარაკებათა ამ სერიას?

— ამ შეხვედრისთვის მოსკოვში წასასვლელ-წამოსასვლელი ბილეთების ფული და არცთუ ძვირიანი სასტუმროს ხარჯი გავწიე მხოლოდ. შეიძლება, ეს კითხვა ობიექტურად დაისვას, მაგრამ წარმოუდგენელია, პოლიტიკოსი, რომელიც ქვეყნისთვის ზრუნავს, რუსეთში ფულის სამათხოვროდ ჩავიდეს. ეს სირცხვილია.

— ერთი და ორი ჩასულა?

— ვიცი, ასეა და არ მინდოდა ამაზე საუბარი. ისიც მითხრეს, ზოგიერთი აქ რისთვისაც ჩამოვიდა, ძალიან კარგად იცითო. სხვათა შორის, ვინც მოსკოვში ჩადის და მერე ბრუნდება, რუსეთზე ყველაზე მეტს ყვირის. ეტყობა, არაფერს აძლევენ და იმიტომ. ჩემი მიზანი შეთანხმებაა და თუ ეს შეთანხმება შედგა, საქართველო, სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობისა და ტერიტორიული მთლიანობის გარდა, დიდ ეკონომიკურ შედეგსაც მიიღებს და ქვეყნის ეკონომიკა რამდენიმე თვეში გადაეწყობა. საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი საკვანძო ადგილი გახდება ენერგომატარებლების ტრანზიტის თვალსაზრისით. ის ენერგოპროექტები, რაც სააკაშვილის წყალობით რუსების ჯინაზე განვახორციელეთ, მხოლოდ 56-მილიონიან შემოსავალს გვაძლევს. სამაგიეროდ, აფხაზეთი, სამაჩაბლო და ჩვენი ბუნებრივი მოკავშირე, რუსი ხალხი დავკარგეთ.

— ამ ყველაფრის სანაცვლოდ, საქართველოს პოლიტიკური ფასი რა არის. ქართველი ხალხის სახელით რას დაპირდით რუსებს?

— ჯერ შეთანხმება არ არსებობს. კარგი კითხვაა...

> **როგორც რუსეთის ბუნებრივი მოკავშირე, ვალდებულნი ვართ, უზრუნველვყოთ, ჩვენი ტერიტორია არ გამოიყენონ რუსეთის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის წინააღმდეგ. საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა განთავსდეს ნატო-ს სარაკეტო სისტემა, რომელიც მოსკოვისკენ იქნება მიმართული. არასწორია, ვიღაცასთან სალაპარაკოდ თოფით მიხვიდე და უთხრა, არ გესვრიო. ამერიკელები აცხადებენ, რუსეთზე თავდასხმას არ ვაპირებთო, მაგრამ ჩვენთან სარაკეტო სისტემების განთავსება მაინც უნდათ. ამას აუცილებლად მოყვება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო აგრესია.**

— სწორედ ნატო ხომ არაა ჩვენი უსაფრთხოების გარანტია და არა რუსეთი? ანგარიშს არ უწევთ, რომ ამ მოსაზრებას გაცილებით მეტი მომხრე ჰყავს საქართველოში, ვიდრე თქვენს აზრს?

— არ მგონია, ასე იყოს. ეს ქვეყნის დაღუპვაა. რუსები არამეგობრულად და არასაიმედოდ მიიჩნევენ ჩვენს ტერიტორიაზე ამერიკული ბაზებისა და ნატო-ს საწვრთნელი ცენტრების განთავსებას.

— ჰოდა, ჩვენი ნაბიჯი რა უნდა იყოს რუსეთისკენ, როცა ჩვენი პარტნიორობა ამერიკასთან გაცილებით მყარი და საიმედოა?

— რუსეთზე მყარი და დიდი მოკავშირე არ გვყავს! ამ რეგიონში რუსი და ქართველი მართლმადიდებელი ერების ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. რუსეთი დღესაც ერთადერთი ფაქტორია, რის გამოც თურქებს აჭარა არ აქვთ ოკუპირებული. ღმერთმა ნუ ქნას და რუსეთი რომ დასუსტდეს, თურქეთი უკან არ დაიხევს. ამის შესახებ, წესით, ხელისუფლება უნდა გვაფრთხილებდეს. ვფიქრობთ, რუსეთმა ჩვენგან გარანტია უნდა მიიღოს, რომ უცხო ქვეყნის არცერთი ჯარისკაცის ფეხი არ იქნება საქართველოში.

— ის რის გარანტიას გვაძლევს სანაცვლოდ?

— თუ ვინმე გადმოაბიჯებს საქართველოს საზღვარზე, საქართველოს ხელისუფლების თხოვნის შემთხვევაში, რუსეთი ვალდებული იქნება, დაგვიცვას და სამხედრო დახმარებაც გაგვიწიოს, თუ ამის საჭიროება დადგა.

— ანუ რუსეთი უნდა გახდეს ჩვენი ალტერნატიული ნატო... რუსეთმა რომ გადმოაბიჯა ჩვენს საზღვრებზე არაერთხელ და კიდევ რომ გადმოაბიჯებს, მისგან ვინ დაგვიცავს?

> **— ახლა, ასე ყველაფერი თუ გავიხსენეთ, რაც რუსეთმა გაგვიკეთა და ჩვენ გავუკეთეთ, არაფერი გამოვა. აჭარისა და სამცხე-ჯავახეთის დაბრუნებისთვის ბრძოლაში ათასობით რუსი ჯარისკაცი დაიღუპა ქართველი გლეხების გვერდით. წავიდეთ და მათი საფლავები ვნახოთ, სადაც ისინი გვერდიგვერდ არიან დაკრძალულნი.**

— ჯერ აფხაზეთის, აგვისტოს ომში დაღუპული ქართველი ბიჭების საფლავებზე გავიდეთ და მერე მათი ოჯახის წევრების პოზიცია მოვისმინოთ „რუსულ ნატოზე“.

— ეს არის ორივე ერის ტრაგიკული შეცდომა და ახლა უნდა ვეცადოთ, ასეთი რამ აღარ განმეორდეს. ჩვენ ამ შეცდომებისგან ერთმანეთი უნდა დავიცვათ. საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ერთმნიშვნელოვნად სურს რუსეთთან ურთიერთობის მოგვარება. ასე ფიქრობს უმრავლესობა.

— ბოლო გამოკითხვით, ნატო-ში შესვლას ხალხის 67% უჭერს მხარს, ევროკავშირს უფრო მეტი. რატომ ესაუბრებით რუსეთს საქართველოს მოსახლეობის სახელით?

— რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას დაახლოებით 80% უჭერს მხარს, შეიძლება ცოტა მეტიც. რაკი ახლა რაღაც რიცხვები მოგყავთ, გაგახსენებთ, რომ 2012 წლის არჩევნებამდე 2 თვით ადრე, გამოკითხვებში გიორგი თარგამაძეს 20%-ით მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა, ვიდრე არჩევნებზე მიიღო. ყველაფერს ახლაც არჩევნების შედეგები გვიჩვენებს.

> **თუ ხელისუფლება ამ გზაზე არ წამოვა, ხალხი ჩვენსა და ხელისუფლებას შორის აირჩევს. ჩვენი გზა მხოლოდ სიტყვები და პიარი კი არა, გამზადებული, რუსულ-ქართული სამეკავშირეო შეთანხმების პროექტია. თუ ხელისუფლება ამის საჭიროებას ვერ მიხვდება, მაშინ ამ საკითხზე რეფერენდუმი ჩატარდება. თუმცა ვფიქრობ, „ოცნება“ ამ გზის სისწორეს ბოლოს მაინც დაინახავს და ამ პროცესში ჩაერთვება. თუ არადა, არჩევანს ხალხი გააკეთებს.**

— ხალხმაც და ხელისუფლებამაც არჩევანი უკვე გააკეთა.

— არა, ნუ დავეყრდნობით გამოკითხვებს, დავეყრდნოთ არჩევნების შედეგებს.

— თქვენს შედეგებსაც, მათ შორის, გასულ არჩევნებზე!

— ამჯერად, იმ გზას, რომელსაც ხალხს ვთავაზობ, 80%-იანი სეგმენტი უჭირავს. დარჩენილი 20%-ის გაყოფა კი „ოცნებას“ ნაციონალებსა და სხვებთან ერთად მოუწევს. თუმცა რიცხვებზე საუბარი არასწორია. არ მაშინებს, ამ განცხადებებს წინასაარჩევნოდ როგორ მიიღებენ. ეტყობა, არ იცით, რომ ბურჯანაძის ვიზიტი ძალიან წარმატებული პროცესის დასაწყისი იყო, რომელსაც განვითარება მოჰყვება. მან ეს გზა, ფაქტობრივად, გაკვალა.

> **ყველამ იცის, რომ რასაც ვამბობ, სწორია, მაგრამ ხმამაღლა თქმის ეშინიათ — რუსეთს უნდა მივცეთ გარანტია, რომ 30 წლის განმავლობაში აქ არავითარი სარაკეტო ბაზა არ განთავსდება და რომ მათთან ერთად ჩავერთვებით ანტიტერორისტულ ოპერაციებშიც. ჩვენ კი ტერიტორიული მთლიანობისა და ქვეყნის ეკონომიკური განვითარების გარანტია უნდა მივიღოთ.**

— კიდევ, უნდა მივცეთ გარანტია, რომ ევრაზიულ კავშირშიც შევალთ?

— თუ დამიჯერებთ, ამაზე სიტყვაც არ დაგვიძრავს. ევრაზიული კავშირის გარდა, საქართველოსთვის შანხაის პროექტი უფრო მიმზიდველი უნდა იყოს, რომელშიც ჩინეთი და ინდოეთიც მონაწილეობენ. ახლა ევრაზიული კავშირის შეფასებას საერთოდ ვერ გავაკეთებ, მაგრამ შანხაის უძლიერეს გაერთიანებაზე კარგი აზრის ვართ და მასთან ურთიერთობა მხოლოდ დადებით შედეგებს მოგვიტანს. ის, რომ რუსეთთან მოკავშირეობა გვაწყობს და ჩვენი ქვეყნის განვითარების სხვა გზა არ არსებობს, ეგ მეც ვიცი და ხელისუფლებამაც!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

როგორ დაიცავს საქართველოს სახელმწიფო მომხმარებელთა უფლებებს

რას ნიშნავს მომხმარებელთა ომბუდსმენი და რა უფლებები აქვს მას

პარლამენტში უკვე დაიწყო „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის განხილვა, რომლის ავტორი და ინიციატორია პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი. კანონი ძალაში 2016 წლის 1 იანვრიდან შევა, რის საფუძველზეც ომბუდსმენის სახით, მომხმარებლებს საკუთარი უფლებადამცველი ეყოლებათ. კანონპროექტის მიზანია საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძვლებისა და სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრა და დღეს მოქმედი კანონმდებლობის ევროკავშირისა და ევროპული ქვეყნების კანონმდებლობასთან დაახლოება.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის მიხედვით, სამომხმარებლო ურთიერთობებს მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს მომხმარებელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ მომხმარებელთა უფლებების დაცვა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობისთვის ფუნდამენტური და პრიორიტეტული საკითხია. უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში მომხმარებელთა უფლებების დაცვის კუთხით, მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. შესაბამისად, საჭიროა მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარანტიების შექმნა და სამომხმარებლო სფეროში დამოუკიდებელი ნორმატიული აქტის არსებობა, რათა მომხმარებლებმა საკუთარი უფლებები ეფექტურად განახორციელონ. სახელმწიფოს მიზანი კი ამ პროცესის ხელშეწყობაა. კანონპროექტი მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის სამოქალაქო და სამართლებრივ ურთიერთობებს არეგულირებს, ხელს უწყობს ფიზიკური პირის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, არეგულირებს უსაფრთხოების ნორმების, ეკონომიკური ინტერესების დაცვის, სამომხმარებლო განათლებისა და საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ სახელმწიფო პოლიტიკას. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტით მოწესრიგებულია სხვადასხვა სამომხმარებლო სფერო, მათ შორის, დისტანციური და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით დადებული ხელშეკრულებები, ქუჩაში დადებული ხელშეკრულებები, შეცდომაში შემყვანი რეკლამა და კომერციული საქმიანობა, ხელშეკრულების უსამართლო პირობები.

კანონპროექტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მომხმარებლისთვის პროდუქციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და საგარანტიო ვადებთან დაკავშირებულ ვალდებულებებს. მაგალითად, კანონპროექტის მე-6 მუხლით, მომხმარებელს უფლება აქვს მიიღოს, ხოლო მოვაჭრე ვალდებულია, გასცეს ინფორმაცია პროდუქციის დასახელების, მოვაჭრის ვინაობის, პრეტენზიის განხილვის პირობების, პროდუქტის დამზადების თარიღის, ვარგისიანობის, პროდუქტის სრული ფასის, გადახდის, მიწოდებისა და საგარანტიო პირობების, პროდუქციის გამოყენების წესების, ხელშეკრულების ვადის, ციფრული შინაარსის ფუნქციური მახასიათებლებისა და მისი დაცვის, ტექნიკური პასპორტისა და შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესახებ.

კანონპროექტის მიხედვით, ინფორმაციის, ხელშეკრულების დისტანციურად და ქუჩაში გაფორმების დროს, მომხმარებელს დამატებით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია კომუნიკაციის ხარჯების, საჩივრით მიმართვის უფლების, ვალდებულებების შესრულების მინიმალური ვადის, ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, პროდუქციის უკან დაბრუნებისათვის საჭირო ხარჯების მოვაჭრის მიერ დაფარვისა და ფინანსური გარანტიების შესახებ:

„ხელშეკრულების შესაბამისი პროდუქციის მიღების დროს, მომხმარებელს უფლება აქვს, პროდუქციის მფლობელობაში მიღებიდან 14 დღის განმავლობაში, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მომსახურება გაწეულია სრულად. მომხმარებელი ხელშეკრულებაზე უარს აცხადებს იმ შემთხვევაშიც, თუ პროდუქცია დამზადებულია ინდივიდუალური შეკვეთით, მიწოდებულია მალფუჭებადი პროდუქცია, დარღვეულია პროდუქციის ჰერმეტულობა, პროდუქტი განუყოფლად შეერწყა სხვა პროდუქციას, მომხმარებლისთვის მიწოდებულია ჟურნალ-გაზეთები, ხელშეკრულება დადებულია საჯარო აუქციონის შედეგად, საქონელს დაკარგული აქვს სასაქონლო სახე“.

სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობისას, მოვაჭრის ვალდებულებას განსაზღვრავს, რომ მომხმარებელს ხელშეკრულების შესაბამისი საქონელი გადასცეს. ამავე მუხლში ჩამოთვლილია მოთხოვნები, რომლითაც საქონელი ჩაითვლება ხელშეკრულების შესაბამისად, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდნენ — საქონლის არასწორი დამონტაჟება უთანაბრდება ხელშეკრულების პირობებთან საქონლის შეუსაბამობას, თუ საქონლის მონტაჟი ხელშეკრულების ნაწილს შეადგენდა. შეძენილი საქონლის ხელშეკრულების შეუსაბამოდ აღმოჩენის შემთხვევაში მომხმარებლის უფლებას განსაზღვრავს და უფლებას ანიჭებს, რომ უარი თქვას ნაკლის გამოსწორებასა და ნივთის შეცვლაზე, თუ ეს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ასევე განსაზღვრულია საქონლის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის წესი და ვადები. განსაზღვრულია მომსახურების გაწევის საგარანტიო პირობები და მომსახურებაში ნაკლოვანებათა აღმოჩენის შემთხვევაში, მომხმარებლის უფლებები და ვადები.

კანონპროექტის მე-12 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა ითვლება შეცდომაში შემყვან რეკლამად და კომერციულ საქმიანობად, ჩამოთვლილია ის გარემოებები, რომლითაც შეიძლება დადგინდეს, შეცდომაში შემყვანია თუ არა რეკლამა და ის არასწორი ინფორმაცია, რომლის მიწოდების შემთხვევაშიც, კომერციული საქმიანობა ჩაითვლება შეცდომაში შეყვანად: **„ამ კანონის მიზნებისთვის, შეცდომაში შემყვანია ნებისმიერი ფორმით გამოხატული რეკლამა, რომელიც უშუალოდ მიმართულია ან სხვაგვარად აღწევს მომხმარებლამდე ისეთი სახითა და შინაარსით, რომელიც მომხმარებელს უქმნის ან სავარაუდოდ შეუქმნის ისეთ მცდარ წარმოდგენას, რომლის საფუძველზეც მომხმარებელი იღებს ეკონომიკურ გადაწყვეტილებას. იმის დასადგენად, შეცდომაში შემყვანია თუ არა რეკლამა, მხედველობაში მიიღება ყველა არსებითი გარემოება, მათ შორის მიწოდებული ინფორმაცია: ა) პროდუქციის ბუნებისა და ძირითადი მახასიათებლების შესახებ, როგორიცაა ვარგისიანობა, გამოყენებადობა, შემადგენლობა, წარმოების ადგილი, თარიღი და მეთოდი, მიზნისადმი შესაბამისობა, რაოდენობა, ზომა, წონა, სპეციფიკაცია, გეოგრაფიული ან კომერციული წარმომავლობა, გადაზიდვის და შენახვის პირობები, გამოყენების შედეგები, ასევე პროდუქციის ტესტირების შედეგები და მის საფუძველზე გამოვლენილი არსებითი გარემოებები; ბ) ფასის, მისი შეთავაზების ან კალკულაციის მეთოდისა და მასთან დაკავშირებული პირობების შესახებ; გ) მარეკლამირებლის უფლებების შესახებ, როგორიცაა მისი იდენტობა, კვალიფიკაცია, საწარმოო, კომერციული ან ინტელექტუალური საკუთრების უფლება. შეცდომაში შემყვან კომერციულ საქმიანობად მიიჩნევა მომხმარებლისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება, რასაც შედეგად მოჰყვა ან შეიძლება მოჰყვეს მომხმარებლის მოტყუება ან შეცდომაში შეყვანა, ასევე ფაქტობრივად სწორი ინფორმაციის მიწოდება არასწორ კონტექსტში ან არასრულად, რის საფუძველზეც მომხმარებელმა დადო ან შეიძლება დაედო ხელშეკრულება, რომელსაც სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში, არ დადებდა. შეცდომაში შემყვანია კომერციულ საქმიანობა მაშინაც, როდესაც აღნიშნული საქმიანობა ყველა გარემოებისა და ვითარების გათვალისწინებით, იწვევს მომხმარებლის მიერ ისეთი ხელშეკრულების დადებას, რომელსაც იგი არ დადებდა იმ შემთხვევაში, რომ ჰქონოდა ინფორმაცია: ა) პროდუქციის მარკეტინგის შესახებ, მათ შორის, შედარებითი რეკლამის სახით, რაც მოიცავს სავაჭრო მარკას, სახელსა და სხვა განმასხვავებელ ნიშნებს; ბ) პროდუქციის შესახებ სწორი ინფორმაციის მიწოდების პარალელურად, პროდუქციის ნაკლოვანების შესახებ“.**

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი მომხმარებელთა ომბუდსმენის ინსტიტუტს ქმნის. ომბუდსმენი იცავს მომხმარებელთა ინტერესებს, ზედამხედველობას უწევს საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებელთა უფლებების დაცვას, ავლენს და განიხილავს მათი დარღვევის ფაქტებს, ხელს უწყობს დარღვეული უფლების აღდგენას, მათ შორის, მომხმარებელსა და მოვაჭრეს შორის დავის მოგვარების ალტერნატიული საშუალებების გამოყენებით. მისი უფლებამოსილება ვრცელდება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ყველა სფეროზე, გარდა უკვე არსებული ნორმატიული აქტებით დარეგულირებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროებისა. მას, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომხმარებლის უფლებების ხელყოფის აღსაკვეთად და მიიღოს მონაწილეობა სასამართლო განხილვაში, როგორც მომხმარებლის წარმომადგენელმა.

მომხმარებელთა ომბუდსმენი ახორციელებს კვლევით, ანალიტიკურ და შეფასებით საქმიანობას, შეიმუშავებს რეკომენდაციებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. მომხმარებელთა უფლებების დაცვის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან კონსულტაციის საფუძველზე, მომხმარებელთა ომბუდსმენს 4 წლის ვადით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ერთი და იგივე პირი მომხმარებელთა ომბუდსმენის თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. წელიწადში ერთხელ, საქართველოს მომხმარებელთა ომბუდსმენი პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. უფლებამოსილია, პარლამენტის ბიუროს წინაშე დასვას მომხმარებლის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული საკითხი და სათათბირო ხმის უფლებით მიიღოს მონაწილეობა მის განხილვაში.

ვერსიანიუსი

მაშველები გერმანელ ტურისტებს დაეხმარნენ

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მაშველები მესტიის რაიონში, უშბაზე მყოფ გერმანელ ტურისტებს დაეხმარნენ. შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში „112“ შევიდა შეტყობინება, რომ მესტიის რაიონში, მწვერვალ უშბის მიმართულებით მიმავალ გერმანელ ტურისტებს მაშველების დახმარება ესაჭიროებოდათ, ერთ-ერთ მათგანს ფეხი ჰქონდა დაზიანებული და ძლიერი ტკივილების გამო გადაადგილებას ვერ ახერხებდა.

დაკარგული და დაშავებული ტურისტების ჩამოსაყვანად შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გაემართა შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოს მესტიის მეორე სამთო-სამაშველო ქვეგანყოფილების 7-კაციანი და სასაზღვრო პოლიციის 6-კაციანი ჯგუფი.

ნაპრალში ჩავარდნილ ტურისტს გადაადგილება არ შეეძლო, მაშველებმა იგი დაახლოებით 10 კმ საცალფეხო გზაზე ხელით ატარეს და ჯერ სოფ. ბეჩომდე და შემდეგ მესტიამდე უვნებლად ჩამოიყვანეს. დაშავებული ტურისტი სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადამ მესტიის საავადმყოფოში გადაიყვანა.

შსს-ს იტალიის პოლიციის წარმომადგენელი ეწვია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ევროპის პოლიციის კოლეჯის (CEPOL) გაცვლითი პროგრამის ფარგლებში, იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების დეპარტამენტის, კოორდინაციისა და დაგეგმვის სამსახურის წარმომადგენელი მარკო ბოლონეზი ეწვია. ვიზიტის მიზანია საერთაშორისო სამართალდამცავ უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და გამოცდილების გაზიარება. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში პროექტების კოორდინაციის, საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის და განხორციელებულ რეფორმებთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. შეხვედრები ასევე გაიმართა შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს, შსს-ს აკადემიის, საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლებთან. 2013 წლიდან CEPOL-ის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობენ და სტუმრობენ პარტნიორი სახელმწიფოების სამართალდამცავი უწყებების წარმონადგენლებს. პროგრამის ფარგლებში ვიზიტები ხორციელდება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: კიბერდანაშაული, არალეგალური მიგრაცია, ტრეფიკინგი, სამართალდამცავთა სწავლების სისტემები.

„ვერსიანიუსი“

დენის დავითაშვილი განათლების სამინისტროს სასამართლოში უჩივის

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

„ვერსია“ უკვე წერდა პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმასა და იმაზეც, რომ ამ სფეროში მოდულური სწავლება ინერგება. პროფესიული განათლების პროფკავშირების თავმჯდომარე დენის დავითაშვილი განათლების სამინისტროს სრულ უმოქმედობაში ადანაშაულებს და რიგი გადაწყვეტილებების გამო სასამართლოშიც უჩივის.

— ბატონო დენის, პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმას მწვავედ აკრიტიკებთ. განათლების სამინისტროს წინააღმდეგ ქრონიკულად რატომ ილაშქრებთ?

— ჩვენი ორგანიზაცია დეპოლიტიზირებულია. ვერავინ დამაბრალებს, რომ რომელიმე ხელისუფლების დამცველი ვიყავი. მხოლოდ პროფესიული განათლების დამცველი ვარ. ამ სფეროში დღესაც უამრავი პრობლემაა, რასაც ხმამაღლა ვამბობ, მიუხედავად იმისა, მოსწონს ეს რომელიმე მინისტრს, თუ არა. თავის დროზე, გიორგი მარგველაშვილმა, მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილთან 4 შეხვედრა მოგვიწყო, 4-5-საათიანი დიალოგი შედგა. მერე კი, უცებ, „აკადემიის პრეზიდენტი“ გახდა და აღარაფრის მოსმენა აღარ უნდოდა. როცა ვეკითხებოდი, რატომ არ გვარდება ესა თუ ის საკითხი-თქო, ვმუშაობთო, მპასუხობდა. ასე „მუშაობენ“ დღემდე სამინისტროში და რეალურად, წინ ერთი ნაბიჯიც არ გადადგმულა. არადა, ბევრი რამ იყო გასაკეთებელი, მაგალითად, პროფესიული განათლების შესახებ კანონის გადამუშავება.

— პროფესიული განათლების შესახებ კანონში ცვლილებები ხომ შევიდა?

— დიახ, რაღაც ორი, პატარა, 4-მუხლიანი სულელური ცვლილება შეიტანეს. 2013 წელსვე დაიწყეს სისულელეების კეთება; მაგალითად, შეიტანეს ცვლილება, პროფესიულ კოლეჯებში სტუდენტების მისაღებად ტესტირება ჩატარებულიყო. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ ტარდება პროფესიულ კოლეჯებში ტესტირება. ჩვენთან კი, სწორედ ამის გამო, სწავლა კოლეჯებში ნოემბერ-დეკემბრამდე აღარ იწყება. თარგმნეს აშშ-ში, წინა საუკუნის 30-იან წლებში საჯარისო სამსახურებში ზრდასრული ადამიანების მისაღებად შემუშავებული ტესტები, სადაც სისულელეები წერია. ერთ-ერთს მოგახსენებთ: თუ ტრაქტორმა უნდა მოუხვიოს მარჯვნივ, რომელი ბორბლები არ მუშაობს? აბსურდია, ბავშვმა, რომელიც ტრაქტორის მემანქანის სპეციალობის შესასწავლად მოდის, ეს უკვე იცოდეს; კიდევ ერთი სისულელე — პრემიერმა, 2013 წლის 26 დეკემბერს გამოსცა 300 ბრძანება, რომლითაც დაამტკიცა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია. მასში წერია, რომ 2014 წელს უნდა შეემუშავებინათ მოდულური პროფესიული სასწავლო პროგრამები და ჩაეტარებინათ პილოტირება. სამინისტრო და განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი ამ ვადებში ვერ ჩაეტია.

— როგორ ვერ ჩაეტია, დაიწყო კიდეც რამდენიმე კოლეჯში მოდულური პროგრამების პილოტირება და პროცესი სწორედ თქვენი სარჩელის საფუძველზე გაჩერდა შარშან, დეკემბერში.

— პილოტირება დაიწყეს, რადგან პრემიერის ბრძანებულების იგნორირებისა და აფერისტობის გზას დაადგნენ — ნაცვლად იმისა, რომ შეემუშავებინათ ხანგრძლივი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, შეიმუშავეს მაქსიმუმ თვე-თვენახევრიანი პროგრამები, შემოიტანეს რაღაც გაურკვეველი ცნება „მოდული“ და აიძულეს 8 პროფესიული კოლეჯის დირექტორი, პილოტირება ჩაეტარებინათ. უკაცრავად, მარტო უსაფრთხოების ტექნიკის მოდულურ პროგრამას რომ გაივლის ახალგაზრდა, რომელსაც სტუდენტის სტატუსიც კი არ აქვს — მსმენელია და დიპლომის ნაცვლად სერტიფიკატს იღებს, სად დასაქმდება?! ეს პროცესი კოლეჯებს ავტორიტეტს შეულახავდა, ამიტომ, კარგია, რომ მაშინ პროცესი შეჩერდა, თუმცა მოგვიანებით, პარლამენტი მაინც იძულებული გახდა, ამ ცვლილებებისთვის მხარი დაეჭირა.

— უკაცრავად, რას ნიშნავს, პარლამენტი იძულებული გახდა?

— პარლამენტის უმრავლესობა მთავრობის გუნდის გაგრძელებაა და რადგან კანონპროექტი განათლების სამინისტრომ შემოიტანა, დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს. რეალურად რაცაა გასაკეთებელი, ყურადღება არ ექცევა... ჩვენი ინიციატივა იყო, აღდგენილიყო წინა ხელისუფლების დროს ერთი ბრძანებით გაუქმებული 26 პროფესიული კოლეჯი, ამ საკითხზე მომუშავე კომისიამ, 2013 წლის აპრილში, შესაბამისი რეკომენდაციაც დადო, მაგრამ 2 წელზე მეტი გავიდა და გეგმაც არ არსებობს, რომელი კოლეჯი როდის აღდგება.

— როგორც ვიცი, კონკრეტული კოლეჯების აღდგენის გადაწყვეტილება მინისტრმა უკვე მიიღო.

— დაიწერა ბრძანება წინამძღვრიანთკარის კოლეჯისა და თოიძის სახელობის სასწავლებლის აღდგენის შესახებ. ამ უკანასკნელის შენობაზე ითქვა, ავარიულიაო. კოლეჯს შენობა წერეთლის გამზირზე გადასცეს, ძველი შენობა კი, ტენდერზე გაიტანეს 8 მილიონ 800 ათას ლარად და ვინც მოიგო, 6-სართულიან სასტუმროს აშენებს. ახლა აღარაა ავარიული? ახლა აღმოჩნდა, რომ წერეთლის გამზირზე გადაცემული შენობაც ავარიული ყოფილა. რაღაც სქემაა შემუშავებული, რომ შენობები გაყიდონ. ამ კოლეჯების აღდგენა პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო. დაეწერა მინისტრს ბრძანება 26-ვე სასწავლებლის აღდგენის თაობაზე, მით უმეტეს, როცა კომისიამ დასკვნა დადო, შენობები ისეთ მდგომარეობაში იყო, სასწავლო პროცესის დაწყება შეიძლებოდა. სამაგიეროდ, რა გააკეთეს — დეპუტატებისგან მალულად, 700-800 ათასს ხარჯავენ ზოგიერთი კოლეჯის ფილიალების გახსნაზე. საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ჩვენი მიზანია, არსებობდეს დამოუკიდებელი კოლეჯი. ფილიალს არ ეყოლება ბუღალტერი, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, პროგრამების ხელმძღვანელი, ხარისხის მენეჯერი... იქნება ერთი კოორდინატორი და პრაქტიკის მასწავლებლები. ვერ გაკონტროლდება, მაღალ დონეზე ტარდება თუ არა სწავლა. ეს ფილიალები დაბალი დონის კადრებს მოამზადებს და საინტერესოა, ვინ ასწავლის იქ? ზოგადად, პედაგოგების პრობლემაც დგას — პროფესიული კოლეჯების პედაგოგებისა და ინსტრუქტორების მომზადებაზე არავინ ზრუნავს.

— კი, მაგრამ, პედაგოგების გადამზადება ხომ ხდება?

— გადამზადება კი არა, მომზადებაა საჭირო. გადაამზადეს ძველი კადრები, ვინც უკვე ასაკშია, რამდენიმე წელში კი პედაგოგების გარეშე დავრჩებით. ისედაც პროფესიონალი კადრების ნაკლებობაა, პრაქტიკის ხელმძღვანელები საერთოდ არ ჰყავთ, ელიავას ბაზრობაზე ეძებენ ხალხს.

— კადრები თუ არ არის, მაშინ რა 26 კოლეჯის აღდგენაზე ვსაუბრობთ?

— ყველაფერი შეიძლება პარალელურ რეჟიმში მოგვარდეს. კადრების მომზადება არც ისე რთულია — სადაც მშენებელი მზადდება, იქ მშენებელ-პედაგოგი უნდა მომზადდეს. გვქონდა ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი, სადაც იღებდნენ პროფსასწავლებლების წარჩინებულ ბავშვებს და დამატებით 3 წელი პედაგოგიკას, სწავლების მეთოდოლოგიას ასწავლიდნენ. ვუთხარი, აგერ შენობა, ჩხეიძის №8-ში, აღვადგინოთ-მეთქი. არ გააკეთეს. ეს საბოტაჟია! ესაა მოლაპარაკება ძველ ხელისუფლებასთან — ყველაფერი კეთდება, რომ ამომრჩეველმა, 2016 წელს ხმა აღარ მისცეს ამ ხელისუფლებას, ამიტომ მივმართავ პრემიერ-მინისტრს, დროულად შეცვალოს განათლების მინისტრი, რომელიც კოჰაბიტაციაშია ძველ ხელისუფლებასთან. საქართველო პოლიტიკურ რყევებს ვერ გადაიტანს.

— დეპოლიტიზებული ვარო და პოლიტიკურ განცხადებებს აკეთებთ...

— დიახ, დეპოლიტიზებული ვარ! ეს პოლიტიკური განცხადება არაა. ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ და ვიცავ პედაგოგების, სტუდენტების, შესაბამისად, ქვეყნის ინტერესებს. არაფერს აკეთებენ, არადა, გაპიარებულია, თითქოს პროფესიული განათლება პრიორიტეტია. ევროკავშირის მოთხოვნაცაა ამ სფეროს ხელშეწყობა. მე ვიბრძვი ამისთვის და ამიტომაც შევიტანე სარჩელები სასამართლოში.

— კონკრეტულად, რა გადაწყვეტილებებს ასაჩივრებთ?

— მოდულური სწავლების სტანდარტებისა და ჩარჩო დოკუმენტის განხილვა მიმდინარეობდა დახურულ ფორმატში. სასამართლო პროცესები არაა დახურული და ეს სხდომები რატომ უნდა დახურულიყო? გარდა ამისა, ამ საბჭოების უმრავლესობას არ გააჩნდა შესაბამისი კომპეტენცია — გამოსცეს ბრძანება, რომ საბჭოების შემადგენლობაში უნდა იყვნენ დამსაქმებლის, საჯარო და კერძო კოლეჯების, სამინისტროს წარმომადგენლები. 8-9-კაციან სიებში, თითქმის არავინაა ნამუშევარი პროფესიულ განათლებაში. არადა, ამ საბჭოებს უნდა წარედგინა განათლების ეროვნული ცენტრისთვის სტანდარტები და მოდულური პროგრამები. ასევე, აღმოჩნდა, რომ 3 დარგობრივი საბჭო, 7-7-ის ნაცვლად, 5-5 წევრისგან იყო დაკომპლექტებული. შემდეგ დაამტკიცეს 14 სტანდარტი და 11 მოდულური პროგრამა. ერთი ბრძანებით დამტკიცდა 54 პროფესიული სტანდარტი. ჯერ სტანდარტები არ იყო დამტკიცებული და მინისტრმა კოლეჯებს დაავალა, 2015 წლის 10-დან 31 აგვისტომდე თვითშეფასების ანგარიში წარედგინათ. პარალელურად, გადაწყდა, რომ ავტორიზაციის თანხები უნდა დაფაროს ეროვნულმა ცენტრმა, რაც ინტერესთა კონფლიქტია — ვინც ატარებს ავტორიზაციას, ის იხდის თანხას. ეს ყველაფერი 5 სარჩელით გავასაჩივრეთ და ყველა მიიღო სასამართლომ წარმოებაში.

— გამოდის, შესაძლოა, სასამართლომ უკვე დამტკიცებული მოდულური პროგრამების დანერგვის პროცესი შეაჩეროს?

— რასაკვირველია, შესაძლებელია. უნდა შეაჩეროს!

— პედაგოგები კი, თქვენი დამსახურებით, ისევ ხელფასის გარეშე დარჩებიან, როგორც ეს 2014 წლის დეკემბერში მოხდა...

— ჯერ ერთი, ჩემი დამსახურებით, რატომ? გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს. გარდა ამისა, მათთვის მოულოდნელი არაფერია და არც მაშინ იყო. ყოველთვის ვაფრთხილებდი დირექტორებს, პირად საუბრებშიც და ელექტრონული წერილებითაც. ვუხსნიდი, რომ არ შეიძლება პროცესი დაიწყოს, სანამ პრემიერის ბრძანებების შესაბამისად, არ შეიქმნება, შეფასდება და დამტკიცდება ხანგრძლივი მოდულური პროგრამები და არ გაიწერება ბიუჯეტში. ამის მერე უნდა ჩატარდეს მათი პილოტირება. პარალელურად, უნდა შეიქმნას სახელმძღვანელოები. იცით, რომ დღეს, ქართულ ენაზე არც ერთ სპეციალობას არ გააჩნია სახელმძღვანელო? მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროცესი უნდა დაიწყოს მას შემდეგ, რაც მოხდება შრომის ბაზრის კვლევა და დადგინდება ქვეყნისთვის პრიორიტეტული პროფესიები.

— მინისტრის მოადგილის განმარტებით, სამინისტრო შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობს და მოდულური პროგრამებიც ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე შეიქმნა. ასე არ არის?

— ბაზარი არაა შესწავლილი. არადა, ეს უმთავრესია, რათა ისეთი პროფესიონალები მომზადდეს, რომლებზეც მოთხოვნა იქნება. ამ ფონზე, კოლეჯების დირექტორებს ვურჩიე, სტუდენტები მიეღოთ ძველ, ნებადართულ პროგრამებზე. 19 კოლეჯიდან მოდულურ პროგრამებზე განაცხადი შემოიტანა მხოლოდ 15-მა. 4-მა თქვა, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ მაქვს, ამ პროგრამების შესაბამისად ვასწავლოთო. ეს თავის არიდების საუკეთესო ხერხი იყო. ზოგმა უარი ვერ თქვა და შემოიღო მხოლოდ თითოეული მოდულური პროგრამა. ეშინიათ — სამინისტრო ხსნის პროფესიული სასწავლებლების დირექტორებს, აფინანსებს კოლეჯებს. ასე რომ, პროცესი თუ შეჩერდა, ვერავინ ვერაფერს დამაბრალებს. ისე, მაშინაც ჩატარებული გაკვეთილები აუნაზღაურდათ და ჩაუტარებელი გაკვეთილების ფულს ითხოვდნენ? თანაც, კოლეჯებში სპეციალურად მოწვეული კადრები ასწავლიდნენ და რა კომპეტენცია ჰქონდათ მათ, ესეც გასარკვევია.

— ამიტომაც ითქვა, დავითაშვილი იმიტომაც განაწყენდა, პილოტირების პროცესში მისი წევრი პედაგოგები რომ არ ჩართესო.

— სისულელეა! ისინი ჩემი კავშირის წევრები არ იყვნენ და როგორ გავნაწყენდებოდი?

— ისიც სისულელეა, რომ თქვენი ინტერესი პროფკავშირში პედაგოგების გაწევრიანებაა და ამის მისაღწევად თურმე, კოლეჯის დირექტორებს აშანტაჟებდით კიდეც?

— ისეთ კითხვას მისვამთ, ამომწურავად უნდა გიპასუხოთ. უნდა იცნობდეს ადამიანი დენის დავითაშვილს, რომ ასეთი აბსურდული აზრები არ მოუვიდეს თავში. იცით, მე და ჩემს მოადგილეებს, წელიწადზე მეტია ხელფასი არ აგვიღია. ჩემ კავშირში 8 საჯარო და 4 კერძო კოლეჯია გაწევრიანებული. კავშირი იმისთვის არ შევქმენით, რომ დავსაქმდეთ და ხელფასები გვქონდეს. ჩვენი მიზანია, დავიცვათ სტუდენტებისა და პედაგოგების უფლებები, მიუხედავად იმისა, ჩვენი წევრები არიან თუ არა. ეტყობა, წლები უნდა გავიდეს, მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს, რომ მიხვდნენ — არსებობენ ადამიანები, ვინც უანგაროდ, სიყვარულით ემსახურება საქმეს. შემოსული საწევროები, ისევ და ისევ პედაგოგების კეთილდღეობას, მათი უფლებების დაცვას ხმარდება. ჩვენ ჩვენ საქმეს ვაკეთებთ. ახლახან შევიტანეთ მილენიუმის პროგრამაში ამბიციური განაცხადი, პროექტი — პროფესიული განათლება ქვეყნის მაღალმთიან და სხვა რეგიონებში დასაქმების უზრუნველსაყოფად. 50 სპეციალობა გვაქვს მონიშნული. ჩვენს გარდა არც ერთ სხვა განაცხადში არ იქნება დაცული მოთხოვნა — სოციალური პარტნიორები. იმედია, მილენიუმის ხელმძღვანელობა არ დაუშვებს ლობირებას განათლების სამინისტროს მხრიდან, მით უმეტეს, ხელთ მაქვს 12 ორგანიზაციის დოკუმენტაცია, სადაც აღმოვაჩინე, რომ განმცხადებლები არიან შუამავლები, ეს პროექტი კი, შუამავლობას კატეგორიულად უარყოფს. ყველაფერს გავაკეთებთ, პროფესიული განათლების განვითარებაში წვლილი შევიტანოთ. ესაა ჩვენი პასუხი, როგორ ვზრუნავთ სისტემაზე, ხოლო თუკი ვინმე ამას ვერ ხედავს და ცდილობს, ჩირქი მოგვცხოს, მის ნამუსზე იყოს!

სამოთხე დედამიწაზე ნამდვილად არსებობს!

ლატვიელი მილიონერის, აივარს ბვირბულის „მზის ქალაქი“

რუსუდან ხავთასი

„ეკონეტი“ აქვეყნებს ვრცელ სტატიას ლატვიელი მილიონერის „მზის ქალაქის“ შესახებ, რომელმაც ქართველი მილიონერების ახდენილი და ჯერ კიდევ აუხდენელი „დაპროექტებული“ ოცნებები გამახსენა. გამახსენდა მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის „პანორამა“, რომელსაც მთელი თბილისი გულის კანკალით ელის, რადგან არ იცის, მისი განხორციელების შემდეგ რა სახეს მიიღებს მთაწმინდა და ნარიყალა! ჰოდა, უკომენტაროდ გთავაზობთ სტატიას, რომელიც, იმედია, განსჯისათვის გამოგადგებათ.



ლატვიელმა მილიონერმა, ქალაქ ცესის მიდამოებში, ფანტასტიური პროექტი განახორციელა — იყიდა 30 000 ჰექტარი ტყე ქალაქის მიდამოებში და „მზის ქალაქი“ ააშენა, სადაც სულ სხვანაირი ცხოვრების წესი და კანონები მოქმედებს. პროექტის წესების მიხედვით, სამასივე სახლი, რომელიც ამ ტერიტორიაზე მდებარეობს, მხოლოდ სუფთა ეკოლოგიური



მასალითაა აშენებული. თითოეულს ესაზღვრება 0,4 ჰექტრიდან 1,3 ჰექტრამდე ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელზეც პატარა ტბა და ტყე მდებარეობს. ყველა სახლს აქვს კანალიზაცია, რომელიც ნაძვისა და ფიჭვის ფესვებთან სპეციალური ტექნოლოგიით შექმნილი მილებით გადის, სწრაფი ინტერნეტი და ელექტროენერგია. სახლები ნიადაგის მეშვეობით თბება, თითოეულ სახლში არის გეოთერმული სითბოს საქაჩი, რომელიც მიწაში 90-100 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს და მიწის ენერგიას სითბოდ გარდაქმნის. ეს ენერგია საკმარისია, სახლი და წყალი მთელი წლის განმავლობაში გათბეს. მოქალაქეები მხოლოდ ძალიან ცივ დღეებში ანთებენ ბუხარს, რომელიც ასევე ყველა სახლს აქვს.

ქალაქში არც ერთი ცალკე მდგომი სახლის ფანჯრიდან არ ჩანს სხვა სახლის ფანჯარა, რაც შესაძლებელი გახდა ქალაქის ბორცვული რელიეფისა და კარგი დაგეგმარების შედეგად. ტყესთან ახლოს მდებარე ქალაქში აკრძალულია ღობეები. ეს არის ეკოლოგიურად სრულიად სუფთა ზონა და ამიტომაც ქალაქში თავისუფლად გადაადგილდებიან შვლები და სხვა ცხოველები, რასაც მოქალაქეებმა არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა შეუშალონ. ასევე აკრძალულია ძაღლების ჯაჭვით დაბმა და დატოვება, რადგან შეიძლება მათ ყეფით სხვადასხვა ველური, მაგრამ სრულიად უწყინარი ცხოველი შეაშინონ. ქალაქის მცხოვრებლებისთვის ძაღლის ყოლა მხოლოდ სახლშია დაშვებული.

„ასეთი ქალაქის შექმნის იდეა მომივიდა მაშინ, როდესაც გავიაზრე, რომ მინდა, ვიცხოვრო კარგად მოწყობილ საკუთარ სახლში, ტბასა და ტყესთან ახლოს. შედეგად შევქმენი ამატციემსი, სადაც დასახლდა ჩემი ოჯახი — შვილები, შვილიშვილები, მეგობრები და თანამოაზრეები. ისინი, ვინც ცხოვრების წესსა და გარემოზე ჩემ შეხედულებას იზიარებს. ვაღიარებ, თავიდან ეს პროექტი სუფთა ეგოისტური მიზნებით წამოვიწყე, რადგან მინდოდა, საუკეთესო საცხოვრებელი პირობები შემექმნა საკუთარი თავისთვის. სხვადასხვა ქვეყანაში ასეთივე დასახლებების მაგალითით, ჩემი ხედვითა და დიდი სურვილით, რომ არ დარღვეულიყო ველური ცხოველების უფლებები, გადავწყვიტე, ჩამომეყალიბებინა ქალაქში ცხოვრების კანონები. ეს კანონები შეიქმნა ადამიანებისთვის, რომლებიც იზიარებენ ჩემ ხედვას და მზად არიან, დაიცვან სიჩუმე და სისუფთავე. ქალაქში ღამე არ შეიძლება ხმაური, არ უნდა ააშენონ ღობეები და ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ ძაღლი, რომელიც ადამიანის მეგობარია, არ უნდა იყოს დაბმული ჯაჭვით.

ჩემი მიზანია, მაქსიმალურად შევინარჩუნო ბუნებრივი გარემო ქალაქში. არ ვცდილობ, ტყე ქალაქის პარკად გადავაქციო. ზუსტად ამიტომ მოვლილი, გაკრეჭილი ბალახის საფარის მეზობლად არის აყვავებული მინდორი. გაზონთან, როგორც წესი, ციცინათელები არ არიან, მაგრამ აყვავებულ მინდორში მათ ნათებას დაღამებისას კარგად დაინახავთ. ტბიდან კი გაიგონებთ ბაყაყების ყიყინს. ეს დიდ ბედნიერებად მიმაჩნია, რადგან ისინი მხოლოდ ძალიან სუფთა გარემოში ბინადრობენ. გამხმარ ან ქარისგან გადატეხილ ხეებს თავის ადგილზე ვტოვებთ ველური ცხოველების თავშესაფრად. ბალანსი საცხოვრებელ გარემოსა და ბუნებას, თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ესთეტიკას შორის, ქალაქის დასამახსოვრებელ სახეს ქმნის, რომელიც კარგად გვაჩვენებს, რომ ჰარმონია ადამიანსა და ბუნებას შორის არსებობს!” — განაცხადა მილიონერმა აივარის ევირბულისმა.

პოლიტიკური სიზმრების ახსნა

ლევან სეფისკვერაძე

სიზმრების ახსნა ის თემაა, რომელიც იყო საქართველოში, არის და ალბათ მომავალშიც აქტუალური იქნება, სულ რომ გავპრაგმატულდეთ და ერთ მშვენიერ, მაგრამ მოწყენილ დილას ისეთ ქვეყანაში გავიღვიძოთ, სადაც სიზმრებისთვის ნაკლებად გვეცლება. ჩვენი სიზმრები ხშირად ოცნებათა კორიანტელი უფროა, ვიდრე ემოციების ღამით გაფურჩქვნა და ქართველების პოლიტიკური სიზმრების ახსნაც ალბათ არ უნდა იყოს აგრერიგად ადვილი. მაგრამ ჩვენ აქ რისთვის ვართ? მცდელობას კი წინ რა უდგას? დავიწყოთ ასე:

სიზმარში ბიძინა ივანიშვილი ნახო, ფული გქონდეს, ნდობა გქონდეს, მაგრამ გულიდან შიში, ეჭვები ვერ მოიცილო — ყველა ჩემს წინააღმდეგაა და ყველას ჩემი ფული უნდაო. მერე ამ შიშმა ყველაფერი მიგატოვებინოს და ნდობა ქარს გაატანო.

მიშა სააკაშვილი ნახო, ვარდის ბიზნესში მეგობრები „გადაგეგდოს“, ბიზნესი ჩაგწოლოდეს, უცხოეთში გაქცეულიყავ, მეგობრები შემოგძარცვოდეს, მაგრამ საქმე თავიდან დაგეწყოს და თან უცხოეთიდან მუშტებს იქნევდე, ჩამოვალ და დედას გიტირებთო.

ვლადიმერ პუტინი ნახო, ყველაფერი, რასაც გააკეთებ თუ გააფუჭებ, უპრობლემოდ გაგსვლოდეს, ბევრი ცუდი საქმე გექნას, მაგრამ კაცი არ იყოს შენი მომკითხავი.

ანგელა მერკელი ნახო, ლუდი აგმჟავებოდეს, ახალგაზრდობაში უნიფხვოდ სირბილი გყვარებოდეს და საქმე საქმეზე როცა მიდგება, მეგობრები ფეხებზე დაგეკიდებინოს.

ბარაკ ობამა ნახო, კარგ ადგილზე ცუდ დროს აღმოჩენილიყავ, სისულელეები გებლადუნოს, ყველა იმედი გაგეცრუებინოს, მაგრამ მაინც იძახდე, ჩემს ამბავში პირველი ვარ და ჩემნაირი მეორე არ დაბადებულაო.

ნოდარ ხადური ნახო, ფერ-ხორცი, სუფრა, ხვავი და ბარაქა არ მოაკლდება შენს ოჯახს.

თინა ხიდაშელი ნახო, შეიძლება, უცნაურ დროს უცნაურ ადგილზე აღმოჩნდე. მტერი და დუშმანი ამაზე გეტყვის, ეგ რა შენი საქმეაო, მაგრამ მტერს ყურადღებას ნუ მიაქცევ, რადგან შენ უკან, საქართველოზე რა გითხრა და, ვიღაც-ვიღაცები კი ნამდვილად იქნებიან!

საპარლამენტო უმცირესობა ნახო, უტიფრობა გესწავლოს. სხვაგან ყველაფერ ცუდსა ხედავდე და შენსაზე თვალებს ხუჭავდე. სულ რომ სიმართლეს იძახდე, მაინც არავინ გისმენდეს და ყველას შენს ერთ ადგილზე ეჭიროს თვალი პანჩურის ამოსაკვრელად.

საპარლამენტო უმრავლესობა ნახო, მაშინაც უტიფრობა გესწავლოს, თან გათავხედებულიყავ, ყელი მოგეღერებინოს, უსაქმურობის სიამე შეგეტკბოს და ძილშიც კი „სისხლიანი 9 წელი“ გებურტყუნოს.

პაატა ზაქარეიშვილი ნახო, ზღარბზე შიშველი ფეხი დაგედგას, ამის გამო ზღარბისთვის ბოდიში მოგეხადოს, შენს ფეხში შერჭობილი ეკლები ამოგეძროს და ზღარბის ზურგზე მიგემაგრებინოს დიდი რუდუნებით.

ეკა ბესელია ნახო, „ზალაში“ ახალი „სტენკა“ დაგედგას, ერთი კაცის გარდა ყველანი, ვის სახელებსაც ადრე გაჰკიოდი, სულ ფეხებზე დაგეკიდებინოს და სულაც არ გეფიქროს იმაზე, რომ ადრე თუ გვიან, ყველაზე ლამაზი სიზმარიც კი აუცილებლად დამთავრდება!

1. მხატვ. გამოსახვის სტილისტ. ხერხი
2.უმაღლესი დიპლომატიური რანგი
3. ლექსის სახეობა
4. თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი
5. საფრანგეთის ოლიმპიური ქალაქი
6. მზის საგალობელი რაჭაში
7. ჰოლანდიის მეორე სახელწოდება
8. მეომართა დასაცავი ნაგებობა
9. ყნოსვის უქონლობა
10. ესპანეთის საფეხბ. კლუბი
11. ფრანგი კომპოზიტორი
12. დანტე ალიგიერის სატრფო
13.ბუტერბროდის სახელწოდ. ინგლისში
14. დაკოდილი ცხენი
15.ბრაზ. ავტომრბოლელი ... სენა
16. რადიოლოკატორი
17. ტარიელის მიჯნური ...-დარეჯანი
18. მხარზე გადასაკიდი ჩანთა
19.ძლიერი ქარიშხალი წყნარ ოკეანეში
20.კუნძ. სარდინიის უდიდესი მდინარე
21. გასეირნება ბავშვის ენაზე
22. სხეულის განივკვეთის ზომა
23.ვიდეო-რგოლი
24.„შკოდას“ მოდელი
25.დეკორ. ყვავილი
26.ივივე კარჭაპი
27. ფრინველთა მეფე
28.კატა ამერიკულ მულტ-ფილმში
29. კათოლიკური ჯვარი
30. შუბლის წიაღის ანთება
31. რუმინული ფლეიტა
32. ამერიკელი მსახიობი ლუსი ...
33. ბგერის ანარეკლი
34. ჯულიეტას მიჯნური
35. მამალი ცხენი
36. მაწვნის პროდუქტი
37. კოლხეთის მითიური მეფე
38. მოკლე სადღეგრძელო
39. დასტურის შეძახილი აშშ-ში
40.ალადინის სატრფო
41.გერმ. მწერალი
42. ინგლისის პრესტიჟ. კოლეჯი
43. ქართული ანბანის I ასო
44. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი
45. ლეგენდარ. ქართველი ფეხბურთ.
46. იაპონელთა ეროვნული სპორტი
47. ზრდილობიანი მიმართვის ფორმა იაპონიაში
48. ფუჭი, უშედეგო
49.ქრისტიანობისთვის წამებული არაბი
50. ვიტამინების კომპლექსი ბავშვებისთ.
51. ზღვის დიდი კიბო
52. ხევსურული გორას ვაჟი
53. წილი საერთო საქმეში
54.არაოფიციალური მაკლერი ბირჟაზე
55. დიდი და უშნო ტუჩი
56. ლატვიელი ბალეტის მსახიობი
57. წამლის ბურთულა
58. დღეის მომდევნო დღეს
59. ჯუჯა ცხენი
60. აშშ-ის პრეზიდენტი
61. გადამდნარი კარაქი
62. სოფელი ცაგერის რაიონში
63. მოკრივე ... ტაისონი
64. სოფელი ყაზბეგის რაიონში
65. წმინდა მოგება ძიუდოში
66. ტარზანის მაიმუნი

მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი თუ პლასტიკა

ქალები, რომლებიც მამაკაცთა ყურადღების მიპყრობას მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით ცდილობენ, ტყუილად კარგავენ დროს, ენერგიასა და ფულს, — ასეთ დასკვნებს აკეთებენ სწავლულები ნორთუმბრიის უნივერსიტეტიდან. მათ შეისწავლეს ძლიერი სქესის წამომადგენლების რეაქცია ქალებზე, რომლებიც „შპილკებზე“ დგანან და გაირკვა, რომ მამაკაცებს საერთოდ არ აინტერესებთ, როგორი ფეხსაცმელი აცვია ქალს, მათი ინტერესი სხეული და მოძრაობის პლასტიკაა. როგორც კვლევის ავტორები აღნიშნავენ, შეხედულება, თითქოს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი სექსუალური მიმზიდველობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, იმითაა განპირობებული, რომ ასე ფეხები უფრო გრძელი ჩანს. ეს კი სიგნალს აძლევს პოტენციურ პარტნიორს, მომავალი მეწყვილის ჯანმრთელობისა და ენერგიულობის თაობაზე, თუმცა ეს ყველაფერი დაბალქუსლიანი ფეხსაცმლის მეშვეობითაც ვლინდება და ამიტომ, სწავლულები ამბობენ, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლებმა მაღალქუსლიან ფეხსაცმელში ფულის ხარჯვისა და ჯანმრთელობის დაზიანიების ნაცვლად, სჯობს, იმას მიაქციონ ყურადღება, რაც ბუნებამ არგუნა — ისწავლონ უკეთ მოძრაობა და მიხვრა-მოხვრა დახვეწონ.

ადამიანებს ჰყლეს ყმენებს

კალიფორნიის შტატში მცხოვრები ხელოვანი ჯეისონ ფენი, ფრინველების მსგავსად, ბუდეებს აშენებს, მხოლოდ ადამიანებისთვის. ვისაც სურვილი აქვს, ფრინველების ცხოვრებას გაეცნოს და თან ბუნებით დატკბეს, შეუძლია, ჯეისონის ბუდეში შეძვრეს. ფენი ადგილობრივ ტყეში მოგროვილი ტოტებისგან ბუდის ფორმის „დასასვენებელ კომპლექსს“ ქმნის, სადაც გარკვეული თანხის სანაცვლოდ, ნებისმიერ მსურველს შეუძლია სუფთა ჰაერზე, ჩრდილში დაისვენოს. რასაკვირველია „კომპლექსი“ ხმამაღალი ნათქვამია, რადგან ბუდეში დიდი კომფორტი არ დაგხვდებათ, აქ დასვენება და ფრინველად „გადაქცევა“ კი მზიან ამინდში სჯობს, რადგან წვიმაში დასველებისგან ვერაფერი დაგიცავთ. ბუდეს ერთდროულად მხოლოდ 8 ადამიანის დატევა შეუძლია, სადაც ხის კიბის მეშვეობით ხვდებიან. ჯეისონი კი ყოველ ტოტს საგულდაგულოდ ამოწმებს, რათა „აპარტამენტებმა“ ადამიანის წონას გაუძლოს.

ყურძენი ქიმიოთერაპიის მავნე გავლენისგან იცავს

ყურძენს, უფრო სწორად კი, მის წიპწას შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს ქიმიოთერაპიის ეფექტურობა ნაწლავების კიბოს დროს და ასევე შეამციროს ამ პროცედურის გვერდითი მოვლენები, — აცხადებენ სწავლულები. „საიდუმლო“ კი ამ ხილის წიპწებში არსებულ ანტიოქსიდანტებში, მთრიმლავ ნივთიერებებსა და პოლიფენოლებშია. მათ ანთებისა და კიბოს საწინააღმდეგო საკმაოდ ძლიერი თვისებები აქვთ. მეცნიერები აცხადებენ, რომ წიპწებისგან მიღებული ექსტრატი აქვეითებს ორგანიზმში ანთების ხარისხს და ნაწლავებში არსებულ დაზიანებას. ქიმიოთერაპიისას ჯანმრთელი უჯრედებიც ზიანდება, ამიტომ პროცედურების პარალელურად ამ ექსტრატის მიღება უსიამოვნო გვერდითი ეფექტების დაძლევაში ეხმარება. ჩატარებული ექსპერიმენტისას ანთებითი პროცესი 55%-ით ქვეითდებოდა, კიბოს უჯრედების ზრდა კი 26%-ით ფერხდებოდა. სპეციალისტების განცხადებით, ყურძნის წიპწების ექსტრატის გამოყენება შეიძლება ნაწლავების სხვა დაავადებების დროსაც. აღსანიშნავია, რომ მკვლევარებმა ექსპერიმენტებისას ბაზარზე უკვე არსებული ექსტრატი გამოიყენეს.

სუდოკუ ამაღა

ადვილი

	3		2				1	
	4	1		6		7		
9				1	8			
	2				1	5	7	
8		9				1		3
	1	5	6				8	
			1	5				4
		4		8		3	6	
	9				2		5	

სტანდარტი

9		6			3			
					1	3		
				7			8	
	5	4			2	1		
8	1						6	9
		2	3			4	7	
	3			8				
		9	4					
			1			9		2

რთული

3					9	8		
		2	8					3
8		1	7				5	
7			1					8
	3						4	
1					3			5
	2				8	1		7
5					6	9		
		3	9					2

ექსპერტი

		6		4			3	2
						6		
	2			5			8	
4	9		1			2		
	1			8			5	
		5			6		9	8
	3			1			6	
		9						
2	5			6		3		

ნამცხვარი ნამდვილი მამაკაცებისთვის

ყოფილმა ამერიკელმა ადვოკატმა დევიდ არიკმა საცხობი გახსნა, სადაც მხოლოდ მამაკაცებისთვის განკუთვნილ კექსს აცხობენ. რატომ კაცებისთვის? იმიტომ, რომ „ტკბილეული“ შოკოლადის, კარამელის ან ვანილის კი არა, ლუდისაა. დაწესებულებაში აცხობენ ასევე ნამცხვრებს ბეკონის, ვისკის, ყავის გემოთი და როგორც დევიდი ამბობს, კლიენტებს ეს ძალიან მოსწონთ. როგორც არიკი აცხადებს, კექსების ცხობის იდეა ჯერ კიდევ 2008 წელს გაუჩნდა, როცა უოლ-სთრიტზე ადვოკატის სამსახური დაკარგა. თვეობით ეძებდა სამუშაოს, მაგრამ ვერ იპოვა და გადაწყვიტა, რაღაც ახალი ეცადა, ბაზრის შესწავლის შემდეგ კი არჩევანი საცხობზე გააკეთა. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ჩვეულებრივი კექსი ძალიან ქალური იყო, ამიტომაც გადავწყვიტე, მამაკაცებისთვის გამომეცხო, — ამბობს ყოფილი ადვოკატი, რომელსაც საქმე კარგად მისდის, გახსნის დღიდან კლიენტთა რაოდენობა მხოლოდ იზრდება. ყოველ კვირა საცხობი 500 კექსს ყიდის, ერთის ღირებულება კი 4,10 დოლარია.

ყველაზე ძვირფასი ტორტი

ფქვილი, კვერცხი, კარაქი, შაქარი... როგორც ჩანს, მეტად მოსაწყენი აღმოჩნდა უმდიდრესი არაბული ოჯახისთვის და გადაწყვიტეს, ტკბილეულისთვის ბრილიანტები დაემატებინათ. ქალიშვილის ქორწილისთვის შეკვეთლ ამ ტორტში მათ 75 (!) მილიონი დოლარი გადაიხადეს, რომლის შესაქმნელად არაბეთის გაერთიანებულ საამიროებში მცხოვრებმა ოჯახმა ბრიტანელი დიზაინერი დები ვინგემი მიიწვია. ამ ექსტრავაგანტული დესერტის ფოტოები ინტერნეტში სწორედ მან გაავრცელა. საკონდიტრო ნაწარმი 1,8 მეტრის სიგრძის იყო და პოდიუმს წარმოადგენდა მოდელებითა და კაბებით. პოდიუმის ორივე მხარეს ადამიანების ფიგურები იყო განთავსებული მოდური ტანსაცმლით, ჩანთებითა და სხვა აქსესუარებით, სმარტფონებისა და პლანშეტების ბოლო მოდელებით. ყოველი დეკორატიული ელემენტი დებიმ საკუთარი ხელით დაამზადა, მთლიანი ტორტის შესაქმნელად კი 1100 საათი დასჭირდა. ტორტი სიმალაზით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ ასტრონომიული ფასი იმან განაპირობა, რომ მასზე17 ბრილიანტი იყო მოთავსებული, რომელთა საერთო ღირებულება 46 მილიონი დოლარია. 5,2-კარატიანი ვარდისფერი ბრილიანტი, 6,4-კარატიანი — ყვითელი და 5-კარატინი 15 თეთრი ბრილიანტი ტორტს ბრწყინვალებას მატებდა. გარდა ამისა, დეკორის ნაწილი იყო ასევე 4 ათასი მცირე ზომის ამეთვისტო და ზურმუხტი, 473 პატარა ზომის თეთრი ბრილიანტი და 75 3-კარატიანი შავი ბრილიანტი.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

7	8	6	1	3	5	4	2	9
9	1	4	2	8	7	6	5	3
5	3	2	9	6	4	1	8	7
6	7	3	8	1	9	2	4	5
4	5	1	7	2	6	3	9	8
2	9	8	5	4	3	7	1	6
3	4	5	6	9	2	8	7	1
1	6	9	4	7	8	5	3	2
8	2	7	3	5	1	9	6	4

სტანდარტი

4	5	6	3	7	8	2	1	9
3	2	1	9	6	5	4	8	7
8	9	7	4	2	1	6	5	3
6	8	9	5	1	7	3	2	4
2	1	5	6	4	3	9	7	8
7	4	3	8	9	2	1	6	5
1	3	8	2	5	4	7	9	6
9	7	4	1	8	6	5	3	2
5	6	2	7	3	9	8	4	1

რთული

7	1	9	4	8	6	5	3	2
4	5	3	2	1	7	9	6	8
6	2	8	5	3	9	7	1	4
5	3	4	8	2	1	6	9	7
8	9	2	7	6	5	1	4	3
1	7	6	9	4	3	2	8	5
3	8	1	6	5	2	4	7	9
2	6	7	3	9	4	8	5	1
9	4	5	1	7	8	3	2	6

ექსპერტი

1	2	9	8	7	6	4	5	3
5	6	4	9	3	2	1	8	7
8	3	7	5	4	1	9	2	6
9	7	6	1	5	8	3	4	2
3	5	2	7	9	4	6	1	8
4	1	8	2	6	3	7	9	5
2	9	1	6	8	7	5	3	4
6	4	5	3	2	9	8	7	1
7	8	3	4	1	5	2	6	9

მე-10 გვერდი: 1. პანტომიმა; 2. ავოკადო; 3. პეგასი; 4. ნადირი; 5. ოდილია; 6. ვალდშნეპი; 7. კაბალიერო; 8. დანი; 9. ასორტი; 10. ორიენტირი; 11. ინდიგო; 12. ლებანი; 13. ისრიმი; 14. ალმასი; 15. ლოსი; 16. ტატუ; 17. შალი; 18. წირი; 19. ფიოხტვანგერი; 20. იაფეტი; 21. რელე; 22. რიგა; 23. ნოტაცია; 24. ანი ლორაკი; 25. ამონასრო; 26. მოლი; 27. წიპწა; 28. ეტიუდი; 29. ცინი; 30. ამინ; 31. ლიქიორი; 32. ხიმე; 33. იონა; 34. ექო; 35. ფანატიზმი; 36. იფი; 37. არტური; 38. ელია; 39. ინა; 40. ბანდეროლი; 41. შაითანი; 42. „ქარადაი“; 43. კობრა; 44. ოსლო; 45. ონი; 46. საუნა; 47. ვირი; 48. აქშა; 49. რაუტი; 50. ვინიეტი; 51. „ორერა“; 52. ინტი; 53. აიათოლა; 54. მაკრამე; 55. გივი; 56. სიტარი; 57. ატოლი; 58. დოზა; 59. აბაკა; 60. სეთი; 61. სკა; 62. არუე; 63. ოტური; 64. მი; 65. ილი; 66. ალაო; 67. რაია; 68. ამირანი; 69. კაა; 70. ფილატელია; 71. კორტესი; 72. კარე; 73. ტინი; 74. ოკეი; 75. გრაცია; 76. ლილო; 77. ტაში; 78. ფა; 79. ლია; 80. იონია; 81. შოუ; 82. აგასი; 83. პასტორი; 84. ლაიკა.

მე-12 გვერდი: 1. ჰერაკლე; 2. პინცეტი; 3. ჰომეროსი; 4. რუნა; 5. კოლუმბი; 6. ესპერანტო; 7. პოკლენი; 8. ნისტელროი; 9. ენგრი; 10. იანკი; 11. ბრა; 12. აგუტინი; 13. „აინტრახტი“; 14. ბინომი; 15. ბენეფისი; 16. ნადი; 17. ფიაბა; 18. ნაგასაკი; 19. ნაომი; 20. ასუანი; 21. რემა; 22. ნალი; 23. საული; 24. დუქარდი; 25. ბინგო; 26. შტაბი; 27. სპირტი; 28. ტოტი; 29. ტუტსი; 30. ბიენალე; 31. ისარი; 32. ინო; 33. ბოი; 34. სოდომი; 35. იმრე; 36. რტო; 37. ატრევსი; 38. ძნა; 39. ხაჭო; 40. მჭლე; 41. სვე; 42. დეზი; 43. ილი; 44. ნარდი; 45. სინაი; 46. პინია; 47. ენი; 48. ნიკ; 49. ორდალია; 50. ეტალონი; 51. ლირი; 52. იელი; 53. დარდი; 54. დელი; 55. იავა; 56. ზერო; 57. კუ; 58. ტურნიკეტი; 59. კაა; 60. ეტოო; 61. იკიკე; 62. აკრი; 63. ბრედ; 64. „მწირი“.

ბავშვმა აუქციონზე მანქანა იყიდა

ორეგონის შტატის ქალაქ პორტლენდში მცხოვრებმა ერთი წლის გოგონამ ინტერნეტ-აუქციონზე ბრიტანული სპორტული მანქანა, 1962 წელს გამოშვებული Austin-Healey Sprite შეიძინა. 14 თვის სორელა სტოუტი საკუთარი მამის სმარტფონით თამაშობდა. ტელეფონზე ქაოტურად თითების სმისას მასში ინტერნეტაუქციონის გვერდი გახსნა და სხვადასხვა სურათებს აკლიკებდა. შედეგად პატარამ eBay-ზე 225 დოლარად მანქანა შეიძინა. ბავშვის მშობლებმა ამის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა აუქციონიდან შემდგარი გარიგების თაობაზე შეტყობინება მიიღეს. მიუხედავად შემთხვევითი შენაძენისა, სტოუტების ოჯახმა გადაწყვიტა, საბოლოოდ უარი არ ეთქვა მანქანის ყიდვაზე. კიდევ კარგი, რომ 38-ათასიან „პორშეს“ არ დააკლიკა, რომლის გვერდიც ასევე ჩანიშნული მქონდაო, — აცხადებს პატარა სორელას მამა. მისი თქმით, კაბრიოლეტს, რომელიც სერიოზულ რესტავრაციას საჭიროებს, ნელ-ნელა შეაკეთებს და შვილს სკოლის დამთავრებისას აჩუქებს.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: +995 322942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

ყველაზე საყვარელი და უცნაური მანქანები

ადამიანებს ყოველთვის აინტერესებთ უცნაური და გიჟური გამოგონებები, რომლებმაც ვერ მოიპოვეს პოპულარობა. მკითხველისთვის ალბათ კარგად ნაცნობია Issetta, რომლის მიხედვითაც შეიქმნა პერსონაჟი გვიდო მულტფილმში „მანქანები“, ან ტაკერი 1988 წლის მულტფილმში „ტაკერი: ადამიანი და მისი ოცნება” . სხვა უცნაური და საინტერესო მანქანები, როგორიცაა Crosley Hotshot და Amphicar, კი დღემდე საზოგადოებისთვის უცნობია. მიუხედავად ამისა, ასეთ მანქანებს მოაქვთ სურვილი გამოგონების, რომელიც საფუძველია მანქანების ინდუსტრიისა.

Amphicar: მანქანა ხმელეთისა და ზღვისთვის

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი სამხედროები ამფიბიურ იარაღს ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში იყენებდნენ, აშშ-ს ნაპირებამდე სამოქალაქო გამოყენებისათვის შექმნილმა ერთადერთმა ამფიბიურმა მანქანამ მხოლოდ სამოციანების დასაწყისში მიაღწია. გერმანული ამფიბიური მანქანა, რომელიც დაახლოებით 1961-სა და 1968 წლებს შორის შეიქმნა, შედგებოდა მანქანა Triumph-ის ძრავით და მანქანა Hermes-ის გადამცემი სისტემით, რომელიც საშუალებას აძლევდა მანქანის ბორბლებსა და პროპელერს დამოუკიდებლად ემოქმედა. სამი ათასამდე ამფიბიურმა მანქანამ მიაღწია ამერიკამდე, რომლის ფასიც 2 800-დან 3 300 დოლარამდე იყო. უღიმღამო წარდგენის გამო, ხალხი მას გულგრილად შეხვდა, თუმცა მისი უნიკალობა დღემდე ავტომობილების ინდუსტრიაში აღიარებულია.

Crosley Hotshot: სპორტული მანქანა ომის შემდგომ პერიოდში

გაზეთმა Time ეს მანქანა ყველა დროის ორმოცდაათი ყველაზე ცუდი მანქანის სიაში შეიტანა. პოველ კროსლის გამოგონება Hotshot, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერთ-ერთი პირველი სპორტული მანქანა იყო. იგი საკმაოდ ნელი იყო და ძრავაც საკმაოდ ცუდად მუშაობდა, თუმცა ერთი დიდი პლუსი ჰქონდა: ეს იყო პირველი მანქანა, რომელსაც ჰქონდა დისკის მუხრუჭები. Hotshot რომ არ ყოფილიყო, დღესაც, ალბათ, მძიმე და არაკომფორტული მუხრუჭებით ვიმოძრავებდით.

Tucker

ალექს ტრემულუსის დიზაინით შექმნილ Tucker-ს ჰქონდა უსაფრთხოების დამატებითი საშუალებები, მაგალითად, დისკის მუხრუჭები, უსაფრთხოების ღვედი, უფრო ვრცელი და დაწვრილებითი მართვის პანელი და მესამე — „ციკლოპის“ ფარი, რომელიც ბრუნავდა საჭის მოძრაობის მიხედვით. უკან დამონტაჟებული ძრავა და გადამცემი სისტემა ისე იყო დამონტაჟებული, რომ გაფუჭების შემთხვევაში მძღოლს მისი ამოღება და ახლით შეცვლა მარტივად შეეძლო. მიუხედავად კეთილშობილური განზრახვებისა, Tucker-ის წარმოება ცოტა ხანი გაგრძელდა. ჯამში, ის მხოლოდ 51 ცალი გამოიცა. საბედნიეროდ, რამდენიმე დღესაც არსებობს.

BMW Isetta: სიყვარული სამ ბორბალზე

1953 წელს, სკუტერებისა და ძრავების გამომშვებმა კომპანია Iso Spa-მ გამოუშვა ბუშტის ფორმის სამ ბორბალზე მოძრავი მიკრომანქანა, რომელიც ითავსებდა სკუტერისა და ტრადიციული ავტომობილის ფუნქციებს. მას პატარა მანქანას Isetta-ს ეძახდნენ ანუ პატარა Iso-ს. BMW-მ ამ დიზაინის ლიცენზირება მოახდინა და გამოშვება 1955 წელს დაიწყო. 12 ცხენის ძალის მქონე Isetta-ს მაქსიმალური სიჩქარე მხოლოდ 52 მილი ჰქონდა საათში. მისი წარმოება 1957 წელს შეწყდა.

Nash Metropolitan: პირველი ამერიკული საშუალო კლასის მანქანა

საკმაოდ პრესტიჟული მანქანა, რომელიც 1949 წლის NXI კონცეფციის მიხედვით შეიქმნა. ორადგილანი მანქანის წარმოება Pininfarina კორპუსის დიზაინით, იმ დროს დიდი გლობალური სიახლე იყო. მას 85-ინჩიანი ბორბლის ბაზა ჰქონდა და მთლიანობაში დაახლოებით 1,800 ფუნტს იწონიდა. Nash Metropolitan-ს 1962 წლამდე აწარმოებდა, მაგრამ მანამდე მან გააძლიერა მანქანის ძრავა და მოახდინა სტილის პატარა ცვლილებები. 10 წლის განმავლობაში 95 000 ცალი იყო წარმოებული, რომელმაც Metropolitan იშვიათ, მაგრამ განსაკუთრებულ და პრესტიჟულ მანქანად აქცია.



მოამზადა რუსუდან ხავთასმა